2010 წელი, 28 იანვარი – 3 თებერვალი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№2 (476) გამოდის 1998 წლიდან

პირველი თებერვალი – ხსენება ღირსისა ანტონ მარტყოფელისა და ღირსისა მაკარი დიდისა

მე მთელი ჩემი ძალისხმევით ვლოცულობ ხოლმე თქვენთვის ღმერთის წინაშე, რათა მან თქვენს გულებში წმიდა ცეცხლი აღაგზნოს, ის ცეცხლი, რომლის დასანთებადაც მოვლინებულა უფალი ამქვეყნად, როგორც ამას თვით ამბობს წმიდა სახარებაში: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა, და რაი მნებავს, რაითა აწვე აღეგზნეს!“ (ლუკა 12,49).

როცა ქარი ზომიერად ქრის და ზღვაზე დიდი ღელვა არ არის, ყოველ მეზღვაურს შეიძლება დიდი წარმოდგენა შეექმნას საკუთარ თავზე და იქადოდეს კიდეც თავისი ხელოვნებით, მაგრამ მხოლოდ ქართა ანაზდეული ცვალებადობის და ამით გამოწვეული დიდი მღელვარების დროს ვლინდება ხოლმე ნამდვილად გამოცდილ მესაჭეთა ხელოვნება.

ამონარიდი ანტონ მარტყოფელის ქადაგებიდან

პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის

2010 წლის ივლისში იწყება განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, პედაგოგთა სერტიფიცირების პირველი ეტაპი. ჩვენი გაზეთი სისტემატურად შემოგთავაზებთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციებსა და საგაზეთო სტატიებს.

ამჟამად გთავაზობთ ინტერვიუს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან სოფო გორგოძესთან

როდის დაიწყება მასწავლებელთა სერტიფიცირება და რამდენი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ მათ?

მასწავლებელთა პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა 2010 წლის ივლისში ჩატარდება. ეს იქნება საბაზო-საშუალო საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხო ენაში. ყველა მასწავლებელი ჩააბარებს, მინიმუმ, ორ გამოცდას. ერთი გამოცდა იქნება პროფესიული უნარების შესაფასებელი ტესტი, ანუ ძირითადად, მასწავლებელი გამოიცდება პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და სამართლებრივი აქტების ცოდნაში. მეორე გამოცდა იქნება საგნობრივი გამოცდა, რომელიც გამოცდის მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციას, თუ რამდენად კარგად იცის მან, მაგალითად, მათემატიკა და რამდენად კარგად ფლობს ამ საგნის სწავლების მეთოდიკას.

სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში, რამდენი წლით განესაზღვრება მასწავლებელს სწავლების უფლება?

ამ ეტაპზე, კანონის თანახმად, სერტიფიკატი უნდა განახლდეს რვა წელიწადში ერთხელ.

რვა წლის შემდეგ, ისევ უნდა გაიაროს სერტიფიცირება?

ეს იქნება რესერტიფიცირების პროცესი. პირველი სერტიფიკატის აღების შემდეგ კონკრეტულად რა უნდა აკეთოს მასწავლებელმა, გაიწერება მასწავლებლის მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემაში, რომლის დასრულებულ ვარიანტს მათ გაზაფხულზე მივაწოდებთ. აქცენტი გაკეთდება ექსპერტთა ჯგუფების შექმნაზე, რომლებიც თითოეულ სკოლასთან იმუშავებენ რათა გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი. ეს იქნება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სადაც თითოეული მასწავლებლის საჭიროებაზე, სწავლებასთან დაკავშირებულ შინაარსობრივ საკითხებზე ადგილზე მისული ექსპერტი მოახდენს რეაგირებას. ამას არ ექნება კონტროლის სახე, საუბარია მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის სისტემის შექმნაზე.

→ გვერდი 2

მასწავლებელთა სერტიფიცირება

პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის

პირველი გვერდიდან

როგორ განისაზღვრება მასწავლებლის ხელფასი სერტიფიკატის მოპოვების შემდეგ?

სერტიფიცირებული მასწავლებლის ხელფასი, რა თქმა უნდა, არასერტიფიცირებული მასწავლებლის ხელფასისგან განსხვავებული იქნება, ანუ მასწავლებელს ფინანსური მოტივაციაც ექნება იმისათვის, რომ გაიაროს სერტიფიცირება. ხელფასის ოდენობა უახლოეს მომავალში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დაზუსტდება. ამ ეტაპზე საკითხი მუშავდება.

როდის დაიწყება სხვა საგნების მასწავლებელთა სერტიფიცირება?

დაწყებულია მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებებისა და საბუნებისმეტყველო საგნების ტესტების შექმნაზე, ასევე გამოცდების ცენტრი იწყებს მუშაობას დაწყებითების მასწავლებელთა გამოსაცდელ ტესტებზე. სამომავლოდ ყველა საგნის მასწავლებელს ჩაუტარდება გამოცდა.

როგორ ჩატარდება დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სერტიფიცირება, საგნობრივად თუ პროფესიულ უნარ-ჩვევებში?

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა გულისხმობს როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული უნარ-ჩვევების ტესტის ჩაბარებას. დაგეგმილია, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს შევთავაზოთ როგორც I-IV კლასებში საგანთა ჯგუფის, ასევე I-VI კლასებში საგნების სწავლების უფლება. მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, როგორი ტიპის სერტიფიკატის მოპოვება სურს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან რა სახის დახმარება გაეწევათ პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებლად?

პირველ ეტაპზე, შევქმენით სახელმძღვანელოები, რომლებიც პედაგოგებს სერტიფიცირებისთვის მზადებაში დაეხმარება. ეს დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული უნარების ნაწილში. როცა მასწავლებლებთან გვქონდა შეხვედრები სტანდარტთან დაკავშირებით, ისინი ამბობდნენ, რომ პროფესიული უნარების ნაწილში სჭირდებოდათ სახელმძღვანელოები. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ უნარებში ლიტერატურის დიდი ნაწილი უცხო ენაზე იყო. გავითვალისწინეთ რა პედაგოგთა სურვილი, მოვიწვიეთ ავტორები და ქართულ ენაზე მომზადდა სახელმძღვანელო, რომელიც, ფაქტობრივად, მთლიანად ფარავს პროფესიული უნარების ნაწილს. გარდა ამისა, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელოები ქართულის მასწავლებლებისთვის, ასევე, ტესტების ნიმუშები. პროფესიული უნარების ტესტების ნიმუშებს ახლავს საკითხავი მასალა, რომელიც დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს. გარდა ამისა, სახელმწიფო დააფინანსებს 60 საათის ოდენობის ტრენინგს როგორც საგნობრივ კომპეტენციებში, ასევე პროფესიულ უნარებში. მასწავლებლებს შეუძლიათ, აიღონ პროფესიული განვითარების ვაუჩერი და უფასოდ გაიარონ 60 საათის ტრენინგი. თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დამატებით სჭირდებათ ტრენინგის გავლა, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტრენინგის საფასური თვითონ ან სკოლამ უნდა დაფაროს. მინდა აღვნიშნო, რომ პირველი სერტიფიცირება უფასო იქნება, გამოცდის ხელმეორედ გავლა, რა თქმა უნდა, ფასიანი.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს შევთავაზებთ როგორც I-IV კლასებში საგანთა ჯგუფის, ასევე I-VI კლასებში საგნების სწავლების უფლება

შარშან 6500-მა მასწავლებელმა გაიარა პროფესიული ტრენინგი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ის, რომ მასწავლებელმა არ უნდა იფიქროს, რომ ტრენინგის გავლა სერტიფიკატის მოიპოვების გარანტიაა. ტრენინგებით ჩვენ დახმარებას გავუწევთ პედაგოგებს, გარკვეულ მიმართულებას მივცემთ, რა მოეთხოვებათ გამოცდებზე.

თუ პედაგოგი ვერ გაივლის სერტიფიცირებას, რა ბედი ეწევა მას?

ამ ეტაპზე სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა ნებაყოფლობითია. გამოცდაზე არგასვლა არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ დირექტორმა მასწავლებელი სამსახურიდან გაათავისუფლოს. მას მასწავლებლობის სტატუსი უნარჩუნდება და შეუძლია, ჩვეულებრივად გააგრძელოს მუშაობა. მაგრამ, როცა ვსაუბრობთ მასწავლებლებზე, რომლებიც აპირებენ სკოლაში მუშაობის დაწყებას, რა თქმა უნდა, არჩევანის გაკეთებისას დირექტორი უპირატესობას სერტიფიცირებულ პედაგოგს მიანიჭებს.

მასწავლებელს, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდას ვერ ჩააბარებს, რამდენჯერ აქვს უფლება, ხელახლა სცადოს ბედი და რა ინტერვალებით?

სერტიფიცირებულ მასწავლებელს მაღალი ავტორიტეტი ექნება, შესაძლებელია, მენტორი გახდეს

მასწავლებელს შეუძლია მეორედ ან თუნდაც მესამედ გავიდეს გამოცდაზე. ამ მხრივ, ამ ეტაპზე არანაირი შეზღუდვა არ არის დაწესებული. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღს, გამოცდების ეროვნული ცენტრის წინადადების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს მინისტრი, რომელიც ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

თუკი არასერტიფიცირებული მასწავლებელი კვლავინდებურად გააგრძელებს სკოლაში მუშაობას, მაშინ რა განსხვავება იქნება სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ პედაგოგს შორის?

პირველ რიგში, სერტიფიცირებულ მასწავლებელს განსხვავებული ხელფასი ექნება. სერტიფიცირებით პედაგოგი უფრო დაცული ხდება, იმიტომ რომ მასწავლებელს ენიჭება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც მისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას აღიარებს. სერტიფიცირებულ მასწავლებელს მაღალი ავტორიტეტი ექნება, შესაძლებელია, მენტორი გახდეს. მენტორებს კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ მაღალი სახელფასო დანამატი აქვთ, დაახლოებით 180 ლარი. არასერტიფიცირებული მასწავლებლები მენტორებად არ შეირჩევიან. სერტიფიცირებული პედაგოგი ყველა პრივილეგიით ისარგებლებს.

ექნება თუ არა დირექტორს უფლება, პედაგოგს სერტიფიცირების მიხედვით განუსაზღვროს საათები?

ზოგადად, დირექტორი გადაწყვეტილებას იმის მიხედვით უნდა იღებდეს, ვის რა კომპეტენცია აქვს. სკოლაში უნდა არსებობდეს შიდა შეფასების მექანიზმები. თუ დირექტორს მიაჩნია, რომ პედაგოგი მაღალკვალიფიციურია, რა თქმა უნდა, ურჩევნია სათანადოდ დატვირთოს იგი.

გამოცდაზე არგასვლა არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ დირექტორმა მასწავლებელი სამსახურიდან გაათავისუფლოს

მასწავლებელთა 80 პროცენტი თანახმაა სერტიფიცირება გაიაროს. აქედან, 40 პროცენტს სურს, სერტიფიცირება პირველივე წელს გაიაროს

ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში არის ჩვენი ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, რომლითაც მასწავლებლები გამოცდისთვის მოსამზადებლად იხელმძღვანელებენ

სად ჩატარდება მასწავლებელთა ტესტირება?

გამოცდის ჩაბარების მსურველი პირი გამოცდას იმ საგამოცდო ცენტრში ჩააბარებს, რომელიც მითითებული აქვს ანკეტაში. განაცხადისა და ანკეტის აღება მასწავლებლებს ნებისმიერ რესურსცენტრში შეუძლიათ. ტესტირებას გამოცდების ეროვნული ცენტრი გაუწევს ორგანიზებას და თითქმის იმავე პრინციპით ჩატარდება, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდები.

რა ენაზე გაივლიან სერტიფიცირებას არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები?

ამ ეტაპზე გამოცდების ცენტრი ტესტებს ამზადებს რუსულ ენაზეც. შესაბამისად მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ რუსულ ენაზე ჩააბარონ გამოცდა. სავარაუდოდ, მომდევნო წლიდან ტესტების მომზადება შესაძლებელი იქნება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც.

ჰქონდათ თუ არა პედაგოგებს დებულების დროულად გაცნობის საშუალება?

როცა დებულების სამუშაო ვარიანტს ვამზადებდით, პარალელურად, თითქმის ყველა რეგიონის პედაგოგებთან და რესურსცენტრების წარმომადგენლებთან ვაწყობდით შეხვედრებს. მასწავლებლებთან და რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან კონსულტაციები სწორედ ამ შეხვედრებზე გავიარეთ. დებულების დამტკიცების შემდეგ პრეზენტაციები, თითქმის, ყველა რეგიონში გავმართეთ. მოგეხსენებათ, დღესდღეობით, საქართველოში 78 ათასამდე პედაგოგია. რა თქმა უნდა, პირადად ყველას ვერ გავაცანით დებულება, თუმცა რესურსცენტრების უფროსებს ვთხოვეთ, შეხვედროდნენ მასწავლებლებს და მათთვის ამ დებულების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინათ. ასევე დებულება განთავსებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს.

თუმცა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, ხშირ შემთხვევაში, რაიონებში მცხოვრები პედაგოგები ვერ სარგებლობენ. ამ ეტაპზე გამოიკვეთა თუ არა მასწავლებლების მხრიდან გარკვეული პრეტენზიები?

მასწავლებელს ფინანსური მოტივაციაც ექნება იმისათვის, რომ გაიაროს სერტიფიცირება. სერტიფიცირებული პედაგოგი ყველა პრივილეგიით ისარგებლებს

ამ ეტაპზე, კონკრეტული პრეტენზიები არ გამოკვეთილა. უბრალოდ, მასწავლებლებს აქვთ კითხვები ყველა იმ დოკუმენტის შესახებ, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის არის საჭირო. მასწავლებელთა კვლევა ორჯერ ჩავატარეთ და შედეგების მიხედვით, მასწავლებელთა 80 პროცენტი თანახმაა სერტიფიცირება გაიაროს. აქედან, 40 პროცენტს სურს, სერტიფიცირება პირველივე წელს გაიაროს. შეიძლება დავასკვნათ რომ მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს გამოცდა გარკვეულ უხერხულობას უქმნით, ისინი მაინც მოტივირებული არიან გავიდნენ გამოცდაზე მაშინაც კი, როცა მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

რამდენად სავალდებულოა სასერტიფიკაციო გამოცდა სკოლის დირექტორისთვის, რომელსაც უკვე ჩაბარებული აქვს გამოცდა დირექტორების შესარჩევ კონკურსში?

სამომავლოდ, სასერტიფიკაციო გამოცდის გავლა დირექტორისთვის სავალდებულო იქნება იმ შემ-

თხვევაში, თუ მას მასწავლებლობა სურს. ამ ეტაპზე მისთვის, ისევე როგორც მასწავლებლებისათვის, გამოცდა სავალდებულო არ არის.

სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგისთვის აუცილებელია სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება?

ყველამ, ვისაც სურვილი აქვს, ასწავლოს სკოლაში, მიუხედავად მისი სამეცნიერო მიღწევებისა, სერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს.

სერტიფიცირების დროს მიექცევა თუ არა ყურადღება ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელ ცნობებს, მოწმობებს და სერტიფიკატებს?

სერტიფიცირების პირველ ეტაპზე, ანუ სერტიფიკატის მოპოვების დროს ყურადღება არ მიექცევა ტრენინგებზე მონაწილეობის დამადასტურებელ ცნობებს, მოწმობებსა და სერტიფიკატებს.

განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მასწავლებლისგან მოითხოვს კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას. მასწავლებელს სერტიფიკატის განახლება მოუწევს რვა წელიწადში ერთხელ. რესერტიფიცირებისთვის პედაგოგმა, რვა წლის განმავლობაში, კრედიტების გარკვეული რაოდენობა უნდა მოაგროვოს. კრედიტების დაგროვება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობით, მათ შორის მხედველობაში მიიღება აკრედიტებული პროგრამების წარმატებით გავლა. კრედიტების დაგროვების პროცესი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ იწყება.

პედაგოგიური განათლების არმქონე პირს, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს, შეუძლია თუ არა, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა და აქვს თუ არა უფლება, გახდეს მასწავლებელი?

სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს ყველა მოქმედ მასწავლებელს, მინიმუმ ერთწლიანი სწავლების გამოცდილებით, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა პედაგოგიური განათლება. ასევე პირს, რომელიც ამჟამად სკოლაში არ მუშაობს, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება აქვს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ცენტრში ძალიან ბევრი ადამიანი (განათლებით პედაგოგი) რეკავს, რომელიც ამჟამად არ ასწავლის სკოლაში, მაგრამ სურს გამოცდის ჩაბარება. რა თქმა უნდა, მათ ეძლევათ შანსი, დაამტკიცონ თავიანთი კომპეტენცია და იმუშაონ პედაგოგებად.

როგორ ემზადება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გამოცდებისთვის?

ამჟამად, ვემზადებით იმისთვის, რომ გამოვაცხადოთ მასწავლებელთა რეგისტრაცია, რომელიც 1 თებერვლიდან დაიწყება და ორი თვე გაგრძელდება. ასევე ახლახანს მოვამზადეთ მასწავლებლისათვის სამართლებრივი აქტების კრებული, რაც გამოცდისათვის დასჭირდებათ და რომელსაც სულ მალე მიიღებენ სკოლები. რაც შეეხება ვაუჩერების გაცემას, ეს პროცესი თებერვლიდან განახლდება. მასწავლებლებს შეუძლიათ აიღონ ვაუჩერები და გაიარონ ტრენინგი. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ჟურნალებს, დამხმარე მასალას: ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში არის ჩვენი ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, რომლითაც მასწავლებლები გამოცდისთვის მოსამზადებლად იხელმძღვანელებენ. ჟურნალ „მასწავლებელში“ მუდმივად იბეჭდება ტესტების ნიმუშები. ამ კუთხით მუშაობა გრძელდება.

ესაუბრა ***მაკა ყიფშიანი***

დამრიგებელი

ახალგაზრდული ენერგია და წლებით მიღებული გამოცდილება – დამრიგებლის იდეალური მონაცემები

ქრისტინა ისლამიდი,
მათემატიკის მასწავლებელი, XI^a კლასის დამრიგებელი, თბილისის №37 საჯარო სკოლა

***

ამ კლასის დამრიგებელი უკვე ექვსი წელია ვარ. მათ მეხუთე კლასიდან მოვყვები და ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში, იყო პრობლემები, თუმცა ვერ გეტყვით, რომ რაიმე განსაკუთრებული და დაუძლეველი გვქონოდა. იყო ასეთი კონკრეტული შემთხვევა, ერთ-ერთი გოგონა ცუდ გარემოში მოექცა და სკოლაში არ დადიოდა. სახლიდან გამოსული ბავშვი სკოლამდე ვერ აღწევდა. მართალი გითხრათ, ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა. ეს იყო გაუთავებელი ზარები მშობელთან, გაუთავებელი სატელეფონო საუბრები მასთან ტელეფონზე, ბოლოს გოგონა იმდენად შეწუხდა ჩემი სატელეფონო ზარებით, რომ ერთხელ ბალანსიც კი შემივსო. მოკლედ დიდი მონდომების შემდეგ ის დღეს ჩვენთანაა და ჩვეული რიტმით, ისე როგორც დანარჩენები, აგრძელებს სწავლას.

***

ყველაფერი ვიცი ჩემი სადამრიგებლო კლასის შესახებ, მათ გამუდმებულად ვაკვირდები, გამუდმებული ყურადღების ქვეშ მყავს თითოეული მოსწავლე, არც ერთ დასვენებაზე მათ უყურადღებოდ არ ვტოვებ. ხშირად ყველაფერს თვითონ მიყვებიან, ხან შეგნებულად, ხან უნებლიედ წამოსცდებათ ხოლმე. რაც მთავარია, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვები უფრო გახსნილები არიან, ვიდრე ზრდასრული ადამიანები. როგორც გითხარით, ხშირად უნებლიედ წამოსცდებათ ხოლმე ისეთი გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომ მერე თავადაც ეცინებათ ამაზე. იცით, რა გამიკეთეს? „ოდნოკლასნიკებში“ საიტი გამიხსნეს, ჩემი ფოტოები დადეს. ეს შემთხვევით გავიგე, ერთ-ერთმა მშობელმა მომილოცა, კომპიუტერი შეგიძენიათო. მოკლედ, ამის გამო, მართალი გითხრათ გავნაწყენდი. შევედი კლასში და ვიკითხე, ეს თქვენ ხომ არ გააკეთეთ მეთქი, თავიდან გაჩუმდნენ, მერე ერთ-ერთმა წამოიძახა, ქრისტინა მასწავლებლო მერე რა, ცუდი არაფერი ჩაგვიდენიაო.

***

ბავშვებს ყოველთვის ეზარებათ საგაკვეთილო პროგრამის გარდა, დამატებით, კლასგარეშე მეცადინეობა ან ღონისძიებების მომზადება. ამიტომ გამუდმებით ვცდილობ მათ დარწმუნებას, გადმობირებას, რომ ეს გავაკეთოთ. თუმცა, შემდეგ, როცა კარგად გამოსდით, ძალიან მოსწონთ და კიდევ ითხოვენ რაიმეს გაკეთებას. ამ კლასთან ძალიან ბევრი საინტერესო ღონისძიება მაქვს ჩატარებული, ერთ-ერთი ბოლოდროინდელი „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ წარმატებაა. მათ სხვა სკოლის საზრიანთა კლუბებს მოუგეს და და პრიზიც მივიღეთ – მუსიკალური ცენტრი.

***

ვცდილობ, მათთან გულწრფელი დისკუსიები და საუბრები მოვაწყო. ერთხელ სერიოზულად ვიმუშავეთ თემაზე „მეგობრობა“. ბავშვებმა ისეთი სერიოზული მოსაზრებები, ისეთი დეტალები წარმოაჩინეს მეგობრობაზე, რომ, მართალი გითხრათ, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მოკლედ, ხშირად ვსაუბრობთ მათთვის საინტერესო თემებზე.

***

გამუდმებულად ვცდილობ, თვალი ვადევნო მათ აკადემიურ მოსწრებას, თუმცა შეფასების ახალი სისტემა შედარებით რთულია, რადგან ცალკეული კომპონენტის მიხედვით ფასდება თითოეული მოსწავლე. ეს კი სერიოზულ დროს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, მუდმივად საქმის კურსში ვარ. მათი ჩამორჩენა, ცუდი ნიშანი აუცილებელია ვიცოდე, შემდეგ მშობლებს ვაყენებ საქმის კურსში, რადგან დროულად გამოვასწოროთ. ალბათ, ხშირად ნაწყენდებიან ბავშვები ამის გამო, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ მათ საკეთილდღეოდ კეთდება. მშობლებმა კარგად იციან, რომ ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ, ერთობლივად ვზრდით ბავშვებს, ამიტომ ჩვენს შორის დაფარული არაფერი უნდა იყოს.

***

სერიოზულ დროს ვუთმობ მათთან განათლების შესახებ საუბარს, ვცდილობ, ყოველი სიახლე ან მათთვის საინტერესო ინფორმაცია ჩემგან შეიტყონ. წლევანდელმა სიახლეებმა ცოტა არ იყოს ბავშვები დააფრთხო (სკოლის დამამთავრებელ გამოცდებს ვგულისხმობ) – ეს რომ გვცოდნოდა, სხვაგვარად მოვიქცეოდითო. თუმცა, მე მათ ვარწმუნებ, თუ მოინდომებენ, შეუძლებელი არაფერია.

***

ერთი რამ, ალბათ, ყველასთვის – მშობლისთვისაც და მასწავლებლისთვისაც – აუცილებელი პირობაა – არასოდეს არ უნდა უთხრა ბავშვს, მოსწავლეს ის, რასაც არ შეასრულებ. თუ ეტყვი, რომ ამის გამო დაისჯება აუცილებლად უნდა დასაჯო, სხვა შემთხვევაში, აღზრდაში შედეგს ვერაფრით მიაღწევ. თუმცა დასჯის ფორმა, ბუნებრივია, არ უნდა იყოს სასტიკი, მე მათ უფრო სინდისზე ვაგდებ – ვეუბნები, რომ უკვე დიდები არიან და ამის კეთება სირცხვილია... ჩვენ აუცილებლად უნდა მოვექცეთ სკოლის შინაგანაწესის ჩარჩოებში. მე რასაც ვეტყვი და დავპირდები, რადაც არ უნდა დამიჯდეს, შევასრულებ, მათ ეს იციან, ამიტომაც ვერ იპარებიან გაკვეთილებიდან.

***

ვცდილობ, არდადეგებზეც კი ვიცოდე ყველაფერი ჩემი ბავშვების შესახებ. მათი მადლიერი ვარ, რადგან სერიოზული პრობლემა ჯერჯერობით მართლაც არ შეუქმნიათ ჩემთვის, როგორც დამრიგებლისთვის. მინდა, რომ მეგობრობა და ერთმანეთის გატანა ვასწავლო. ბუნებრივია, არ შეიძლება 35-ვე ბავშვმა ერთმანეთთან იმეგობროს, მაგრამ არის დღეები, როცა ყველანი ერთად უნდა იყვნენ. ჩემი ფუნქცია კარგად მაქვს გაცნობიერებული – გულწრფელი მზრუნველობა აუცილებელი პირობაა. უფრო პატარები როცა იყვნენ, სულ ვეუბნებოდი, რომ ქუჩაშიც კი, თუ რაიმე პრობლემა გაუჩნდებოდათ სკოლიდან წასულებს, მაშინვე ჩემთან გამოქცეულიყვნენ საშველად ან დაერეკათ. ეს მართლაც ასე ხდებოდა. ერთხელ, მაშინ მეშვიდე კლასში იყვნენ, რამდენიმე მოსწავლეს მეტროსთან მათზე დიდი ბიჭები დახვდნენ და ფული სთხოვეს. კაცმა არ იცის, იქ რა დატრიალდებოდა, რომ არა ერთ-ერთი თანაკლასელი გოგონას სიყოჩაღე. ის წამებში ჩემთან სკოლაში გაჩნდა, საქმეში ოპერატიულად ჩავერიე და ბავშვები სკოლაში წამოვიყვანე. ახლა დიდები არიან და შეიძლება ასეთ ვითარებაში ჩემი ჩარევა იუკადრისონ კიდეც, მაგრამ მაინც ვცდილობ, მათივე თანხმობით, ჩავერთო პრობლემების მოგვარებაში.

***

დიდი ხანია, დამრიგებლად ვმუშაობ. იმდენი გამოცდილება მივიღე, რომ შემიძლია ვთქვა – ახალგაზრდული ენერგია და წლებით მიღებული გამოცდილება დამრიგებლისთვის იდეალური მონაცემებია. თაობებიც იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ ხანდახან სხვა სამყაროში მგონია თავი, თუმცა ყველა თაობას თავისი დამახასიათებელი დადებითი თვისება, ხიბლი აქვს. რაც მთავარია, ისინი ყველაზე გულწრფელები არიან. ახლანდელ ბავშვებს ხშირად ადანაშაულებენ სითამამეში, მე ეს არ მაღიზიანებს, რადგან ხშირად სითამამე აუცილებელიც კია, მე მათგან ინიციატივა მჭირდება, ამას ვეუბნები კიდევაც, მაგრამ წინააღმდეგი ვარ და სასტიკად არ მომწონს თავხედობაში გადაზრდილი სითამამე. მათ უნდა შეეძლოთ გამიჯნონ სითამამე და სითავხედე. ყოველთვის ვაძლევ საშუალებას ჩემს მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, თუნდაც არასწორი. თუკი შევძლებ, რომ არასწორი აზრი არგუმენტირებულად შევაცვლევინო, ხომ კარგი, მაგრამ აკრძალვით ამას ვერასოდეს ავუკრძალავ. მართალი გითხრათ, ახლანდელი თაობა უფრო მომწონს, უფრო ლაღები და მიზანდასახულები არიან. დღევანდელი გადასახედიდან ჩემს ბევრ შეცდომას ვხედავ, ამ ხნის განმავლობაში მეც გავიზარდე, მათთან ურთიერთობით ბევრი რამ ვისწავლე.

რას ფიქრობენ XI^a-კლასელები დამრიგებელზე

ქრისტინა მაგტაგიანი: *რამდენიმე წლის წინ, ჩემს დამრიგებელთან არც თუ კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მისი თბილი დამოკიდებულებით ეს ურთიერთობა შეიცვალა. მეტიც, ხშირად დედის ფუნქციასაც კი ასრულებს. მომწონს, როგორც მასწავლებელი, მისი გაკვეთილები ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ, როგორც დამრიგებელი, შეუდარებელია. ჩვენ მასთან ვართ გახსნილები, ხშირად საიდუმლოსაც ვეუბნებით, ერთად დავდივართ ექსკურსიებზე. ხშირად გვარიგებს ხოლმე, მაგრამ ეს იმდენად მისაღები ფორმითაა, რომ არც ერთს არ გვაღიზიანებს.*

ლანა ხაჩატურიანი: *სკოლაში ჩვენ მეორე დედა გვეგულება, ამას გულწრფელად გეუბნებით. ქრისტინა მასწავლებელთან ვმეგობრობთ, თუმცა ზღვარს არასოდეს გადავდივართ. გაკვეთილის გარდა მასთან ძალიან ხშირი და ინტენსიური კონტაქტი გვაქვს, ხშირად ერთად ვიკრიბებით სასაუბროდ, დავდივართ ექსკურსიებზე, თეატრში, ოპერაში. მართალი გითხრათ, ერთხელ მქონდა პატარა უთანხმოება, ქრისტინა მასწავლებელმა რაღაც საბუთის გაკეთება დამავალა, მე ეს დროულად არ გავაკეთე და სერიოზულად გამიბრაზდა, მერე მაინც მოვაგვარეთ ჩვენი ურთიერთობა. საერთოდ, ყოველთვის ასე ხდება, როცა რამე შენიშვნას გვაძლევს, თავიდან ვბრაზობთ ხოლმე, მაგრამ ეს შენიშვნაც ისეთი კორექტულია ხოლმე, რომ მალევე ვხვდებით, რომ ის მართალია.*

დავით სორანი: *დამრიგებელმა, ჩვენგან დამოუკიდებლად, ყოველთვის ყველაფერი იცის ჩვენს შესახებ, სულ გვიკვირს, რა წყაროები აქვს ასეთი, მაგრამ ჩვენ ამით არასოდეს შეგვქმნია დისკომფორტი. ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს, შენიშვნასაც გვაძლევს, მაგრამ ყოველთვის გვეხმარება, თუნდაც დანაშაულის გამოსწორებაში. არასოდეს არის დაუნდობელი, ჩვენი კლასის პრობლემები ყოველთვის დირექციის ჩაურევლად გვარდება. პატივისცემა გვაქვს მისადმი და ხშირად რაღაც არ გაგვიკეთებია იმის გამო, რომ გული არ გვეტკინა მისთვის. ძალიან ხშირად გვესაუბრება განათლების საჭიროების შესახებ, გვაცნოს სიახლეებს, ხშირად საკუთარი გამოცდილებიდან მოყავს ხოლმე მაგალითები.*

ალექსანდრე მაევსკი: *პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ის სამართლიანი ადამიანია. მომწონს, რომ საგნის გარდა, შეუძლია ცხოვრება გვასწავლოს, ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია. ის არასოდეს მიატოვებს არც ერთ ჩვენგანს გასაჭირის დროს, ცდილობს ბოლომდე გაერკვეს პრობლემაში და სწორ გზაზე დაგვაყენოს.*

ვანო გალუსტიანი: *გამოგიტყდებით, მე გამუდმებულად ვაბრაზებ ხოლმე ქრისტინა მასწავლებელს, მაგრამ ეს არ არის მიზანმიმართული. უბრალოდ, გაკვეთილზე, ვხმაურობ ხოლმე, ვერ ვისვენებ. მაგრამ ეს ჩვენ შორის სერიოზულ უთანხმოებას არ ქმნის. მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან თბილია, ჩვენ შეგვიძლია მასთან ნებისმიერ თემაზე ვისაუბროთ, გავიხსნათ. ყოველთვის მზადაა, ჩვენი აზრი მოისმინოს, გაიგოს. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცემს შენიშვნას, თუ ამას ვიმსახურებთ. მაგრამ შენიშვნაც ისეთი ფორმით არის ხოლმე, რომ ჩადენილს მართლაც სერიოზულად ვნანობთ, თან, რაც მთავარია, მისგან ეს არასოდეს გვწყინს.*

მოსწავლე შემოქმედი

ადამიანურ ურთიერთობათა ხელოვნება და რამდენიმე სიყვარულის ისტორია

(უცხოური ლიტერატურის ნიმუშების მიხედვით)

ლიტერატურული ესე

ნინო ინაური,
თბილისის 21-ე საჯარო სკოლის XII კლასი

პედაგოგი **რუსუდან მეგრელიშვილი**

სიყვარული, სიძულვილი, მარტოობა, თანაგრძნობა – ეს ის ყველაფერია, რაც ალბათ მხოლოდ ადამიანებმა შეიძლება შეიგრძნონ. ათასწლეულების მანძილზე იწერებოდა ლექსები, პოემები, თხზულებები და ბოლოს აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ლიტერატურა მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული, მაგრამ თუ იკითხავთ, სხვა რის შესახებ უნდა დაეწერათო, მართალიც იქნებით, რადგან ეს უცნაური, ზოგჯერ სასტიკი, ზოგჯერ კი სათნო ადამიანები დედამიწაზე ყველაზე საინტერესო არსებები არიან. რა იქნება, ჩვენს თავს სხვისი თვალით რომ შევხედოთ, როგორი იქნება ადამიანთა სამყარო? არც ერთი ადამიანი არ ჰგავს მეორეს, თავის თავზე კი ყველას გაზვიადებული წარმოდგენა აქვს, ჩვენი ტკივილი ყველაზე მტიკვნეულია, ჩვენი სიხარული ყველაზე გასახარია, მაგრამ ჩვენ მაინც ვგრძნობთ, რომ რაღაც დიდი გვაერთიანებს. ამ რაღაც დიდს კი სიყვარული ჰქვია. *„დედამიწას სიყვარული ამოძრავებს, დომენიკო“* – ამბობს დოჩანაშვილის ერთი გმირი და მართლაც სიყვარული ისაა, რაც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, რაც ცხოვრებას აზრს აძლევს, რადგან *„ადამიანის სული ძალიან მძიმეა, გაცილებით მძიმე, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ კაცს მისი ტარება უმძიმს, ამიტომ ერთმანეთის ტვირთი უნდა გავინაწილოთ ადამიანებმა – მე-შენი, შენ-სხვისი“(ნოდარ დუმბაძე).*

სიყვარულზე მე პირადად ნიაზ დიასამიძის თითქოსდა ბავშვური სიმღერა მახსენდება *„სიყვარული თუ გაქრება, მზე იტირებს და ჩაქრება, ჩვენ ვერ გავიგებთ რა ხდება, ჩერდება დრო...“* კიდევ არაერთი ლექსი და სიმღერა დაწერილა სიყვარულზე, ყველა ხელოვანი თავისებურად ცდილობდა, გადმოეცა ამ გრძნობის არსი და ნაწარმოებები, რომლებიც ამ თემაზე შექმნილა და რომლებსაც საუკუნეები აშორებთ, დაუჯერებლად ჰგვანან ერთმანეთს, ამის მიზეზი კი მარტივია, სიყვარული, უბრალოდ, არ ბერდება.

„შენთანაც ყოფნით გამაძღო“ – იტყვის ხალხური ლექსი და ამ ნათქვამში შეგვიძლია ძველი ქართველიც დავინახოთ, შუა საუკუნეების სიყვარულის რაინდიც და თანამედროვე, თითქოსდა ცხოვრებისგან გამოფიტული, გრძნობებისაგნ დაცლილი ადამიანი.

სწორედ თანამედროვე ადამიანის უცნაურ სიყვარულზე გვიყვება XX საუკუნის ამერიკელი მწერალი, სკოტ ფიცჯერალდი თავის ნოველაში „ხანგრძლივი მოლოდინი“.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მშობიარობის შემდგომ მისის კინგი დიდხანს იწვა საავადმყოფოში ნერვიული აშლილობის გამო. მას მთელი პერსონალი ეთაყვანებოდა და სწორედ იმ დღეს, როდესაც საავადმყოფოდან უნდა გაეწერათ, მისი ქმარი ავტოავარიაში მოყვა და დაიღუპა. მისის კინგს კი, უბრალოდ, არ უნდოდა ამ ამბის დაჯერება და წლების განმავლობაში ყოველდღე ელოდებოდა გარდაცვლილ მეუღლეს საავადმყოფოს ჰოლში.

ადამიანების უმრავლესობა გიპასუხებთ, რომ ყველანაირ ტყუილს მწარე სიმართლე ურჩევნია, მაგრამ სინამდვილეში სანამ პირადად არ შეგვეხება ასეთი ამბავი, არ ვიცით, რას ვამჯობინებთ. ხშირად ვერ ვბედავთ ერთმანეთისთვის სიმართლის თქმას, ალბათ ძნელია სხვის მაგივრად მიიღო გადაწყვეტილება, მუდამ გვაწუხებს კითხვა თავად რას ვამჯობინებდით, ვისურვებდით თუ არა ტყუილში ცხოვრებას, მაგრამ იქნებ, ტყუილი არც ისე ცუდია, თუ ადამიანს ღრმად სჯერა მისი...

„ზღვისფერი ქუდი, ბოლისფერი კაბა“ – ასე იწყებდა ექიმი თავის მონათხრობს მისის კინგის შესახებ... ყოველდღე გამოდიოდა საავადმყოფოს ჰოლში, ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა და ექიმიც ყოველდღე უყურებდა მას მიმღების ფანჯრიდან.

ქალბატონი ყველას უყვარდა და თვითონაც მეგობრულად ექცეოდა სხვებს. რაც ეს ამბავი მოხდა, ისევ ისე კეთილი ღიმილით ესალმებოდა ხალხს, ქმრის ამბავს უყვებოდა. *„ჩვენ ვატყუებდით – ამბობდა ექიმი – თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ვალდებულები ვიყავით, რაღაც გვექნა, რამდენჯერ მინდოდა მივსულიყავი და ყველაფერი მეთქვა, მაგრამ მერე მის მოლოდინით სავსე თვალებს დავინახავდი...“*

ქალბატონი ბედნიერი იყო და ამას ვერაფერი შეუშლიდა ხელს, ყოველდღე ოდნავ განაწყენებული, მაგრამ მაინც ბედნიერი თვალები ჰქონდა და თითქოს ყველას ჩუქნიდა ამ ბედნიერების რაღაც ნაწილს. ავადმყოფებსაც რაღაცის იმედი უჩნდებოდათ ქალის შემხედვარე, რომელმაც ილუზიაში ცხოვრებისასაც კი ყველა აიყოლია, თითქოს მთელი საავადმყოფო მის სპექტაკლში თამაშობდა.

რას ვიზამთ, ხანდახან ადამიანის ტვინი უბრალოდ არ იღებს იმ ინფორმაციას, რაც არ სურს, ცნობიერების სიღრმეში მალავს და აგრძელებს ცხოვრებას იმ სამყაროში, რომელსაც თავად ქმნის, რომელსაც სიყვარულის სამყარო ჰქვია.

გავიდოდა წლები და ისევ გამოვიდოდა მისის კინგი საავადმყოფოს ჰოლში, ყველას კეთილად მიესალმებოდა, ზღვისფერი ქუდი, ზღვისფერი კაბა, ხელში პატარა ჩემოდანი, ოდნავ განაწყენებული, მაგრამ მაინც მოლოდინით სავსე ბედნიერი თვალებით იდგებოდა, სანამ ის იქ არ დახვდებოდა...

მისის კინგის გახსენებისას ტიციან ტაბიძის ლექსი მახსენდება ხოლმე:

„ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი
სიშორის ორმოს ავავსებ სევდით
ამ ქვეყანაზე ვიქნებით ორნი
ქვეყნის დასასრულს
ორნი შევხვდებით“.

ასე ხედავდნენ სხვადასხვა ეროვნების თუ წლოვანების ადამიანები ერთსა და იმავე გრძნობას.

ო'ჰენრის ნოველა „მოგვთა საჩუქრები“ კიდევ ერთი სიყვარულის ისტორიას გაგვაცნობს, ბედნიერი და რაღაცნაირად საყვარლად საწყალი სიყვარულის ისტორიას.

ამბობენ, რომ ადამიანს სიკვდილის წინ მთელი ცხოვრება თვალწინ გაურბენს, მაგრამ ხომ შეიძლება მხოლოდ ერთი, ყველაზე ტკბილი მოგონება გაახსენდეს კაცს რაღაც ერთ ნათელ წერტილზე შეჩერდეს მისი მოგონებები, იმაზე, რისთვისაც ალბათ ღირდა მისი სიცოცხლე.

გავა წლები და ისევე, როგორც კედელთან მდგარი, დასახვრეტად გამზადებული აურელიანო ბუენდია (გაბრიელ გარსია მარკესი „მარტოობის ასი წელიწადი“) იხსენებდა იმ დღეს, მამამ პირველად ყინულის სანახავად რომ წაიყვანა, სიკვდილის პირას მყოფი, ღრმადმოხუცებული ჯიმი მაგრად ჩასჭიდებს დელას ხელს, თვალებში ჩახედავს და მხოლოდ ერთ უცნაურ შობის საღამოს გაიხსენებს. გაიხსენებს, თუ როგორ დარბოდა მაღაზიიდან მაღაზიაში საათის გასაყიდად, მერე როგორ მოაბიჯებდა ამაყად დელას საჩუქრით ხელში და როგორ ელოდა დელას ღიმილს მისივე საოცნებო სავარცხლების დანახვისას, ღიმილს, რომელიც ასე ძალიან უყვარდა. მერე ისევ დელას შეხედავს: *„რა ლამაზი ხარ!“* დელას თვალები გაუბრწყინდება, სწორედ ისე, როგორც იმ შობის საღამოს უბრწყინავდა. *„თვალები არ ბერდება“* – გაიფიქრებს ჯიმი, არც სიყვარული: *„დელა მიყვარხარ“.*

ყველაფერი კი თითქოს ჩვეულებრივ დაიწყო შობის ერთ ნათელ დღეს. სანამ დელამ აღმოაჩინა, რომ მთელი მისი დანაზოგი „დოლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი ცენტი“ იყო, ამ ფულით კი ნამდვილად ვერ იყიდდა საშობაო საჩუქარს, მაგრამ დელასაც გააჩნდა რაღაც ძვირფასი, თმა, რომლისაც დედოფალსაც კი შეშურდებოდა. დელამ თმა გაყიდა, რომ ჯიმის საათისთვის ძეწკვი ეყიდა, მაგრამ სახლში დაბრუნებულ ჯიმის უკვე აღარ ჰქონდა საათი, მას ხელში ლამაზი სავარცხლები ეჭირა. დელას ულამაზესი, აწ უკვე ყოფილი თმისთვის.

ო'ჰენრის მოთხრობის ოდნავ ირონიული ფინალი თითქოს საჩუქრის ნამდვილ არსს გვახსენებს, რომელიც კაცობრიობას დიდი ხნის გადავიწყებული ჰქონდა. მაგრამ რა შუაში არიან მოგვები ამ ყველაფერთან? თუ ვიტყვით, რომ ყველაფერი საიდანღაც იწყება, მაშინ უნდა დავაზუსტოთ კიდეც. საჩუქრის ისტორია ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო და საქმე ისაა, რომ სწორედ მოგვებმა შექმნეს ეს ტრადიცია. ეს ის აღმოსავლელი ვარსკვლავთმრიცხველები არიან, რომელთაც ყრმა იესოს ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს. ამ სიმბოლოებით მოგვებმა რწმენა მიუძღვნეს იესოს, ისინი მაზდეანები იყვნენ და საჩუქარი ურთიერთრწმენის სიმბოლო გახდა. დელა და ჯიმიც მოგვები იყვნენ, მათ ერთმანეთს უძღვნეს ის, რაც ყველაზე ღირებული ჰქონდათ ამქვეყნად. მართალია ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ საყვარელი ადამიანისთვის საუკეთესო საჩუქარი შევარჩიოთ, მაგრამ სინამდვილეში არ აქვს მნიშვნელობა არც ფასს, არც შესაფუთ ქაღალდს და არც თავად საჩუქარს, რადგან მთავარია ის, რაც საჩუქრის მიღმა ჩვენს გულში იმალება და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ადამიანების ისტორია, რომლებმაც ყველაზე ძვირფასი დათმეს, რათა საყვარელი ადამიანის სახეზე წამიერი ღიმილი მაინც დაენახათ, სხვანაირად არც უნდა გაგრძელდეს.

რა თქმა უნდა, ცოტა ოჯახი თუ ჰგავს ამ თითქმის იდეალურ წყვილს, მაგრამ ადამიანები სწორედ თავისი პრობლემებით არიან საინტერესონი.

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ხოლო ყველა უბედური ოჯახი თავისებურადაა უბედური“ – წერდა ლევ ტოლსტოი და მართლაც ბედნიერი ხალხი უბრალოდ ბედნიერია, უბედურებას კი ყოველთვის სხვადასხვა მიზეზი აქვს.

ჰემინგუეის ნაწარმოების „კატა წვიმაში“ გმირებსაც ჰქონდათ უბედურების მიზეზი. მათ, უბრალოდ, არ ესმოდათ ერთმანეთის და ეს თითქოსდა ერთი უბრალო დღე მათ მთელ ცხოვრებას ასახავდა. როცა ქალს გრძელი თმა უნდოდა, კაცი კითხულობდა, ქალს ახალი კაბა უნდოდა, კაცი ისევ გულმოდგინედ მისჩერებოდა გაზეთს, ქალს კატა უნდოდა და მაშინ, როცა ქმარი თავს ოდნავ წამოწევდა და ზერელედ იტყოდა „ჩავალ ამოგიყვან“, კარებთან უკვე სასტუმროს მეპატრონის გამოგზავნილი მსახური ქალი იდგა, სასტუმროს მეპატრონის, რომელიც ამერიკელ ქალბატონს თითქმის არ იცნობდა, მსახურ ქალს ხელში დიდი ჭრელი კატა ეჭირა... სასტუმროს მეპატრონე კი ძველი დროის რაინდი გახლდათ, ხანდაზმული რაინდი.

ალბათ ხანდახან სულაც არ არის საჭირო, კარგად იცნობდე ადამიანს, რომ მიხვდე, რა სჭირდება მას. სასტუმროს მეპატრონემ წამში დაინახა ქალის თვალებში ის, რასაც მთელი ცხოვრება ვერ ხედავდა ქმარი. ქალს რაღაც აკლდა, ქალს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ კაცი ვერასდროს ამჩნევდა ამას, ალბათ, ის ამ დროს გაზეთის ბოლოს რამე საინტერესო ნეკროლოგს კითხულობდა.

ამ ნაწარმოებში კატას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. კატა ოჯახური მყუდროების ნიშანია, ნაწარმოებში კი ის თავისთვის უჩვეულო გარემოცვაშია, წვიმა, სიცივე. ქალს ოჯახური იდილიის სურათი უდგას თვალწინ, იდილიისა, რომელშიც მშვენივრად ჯდება კატა. გრძელი თმა, ახალი კაბა, საკუთარი ჭურჭლით გაწყობილი მაგიდა და სადღაც იქვე, თბილ ოთახში, ზის კატა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს კატეგორიულად ეწინააღმდეგება რეალური სურათი, რომელსაც ძირითადად მისი ქმარი აგებს. ის, უბრალოდ, ვერ ხვდება რა სჭირდება სინამდვილეში ქალს, ცოლის სურვილებს უბრალოდ მორიგ კაპრიზად აღიქვამს და შეუმჩნევლად ატარებს.

ვინ იცის, რა უნდა მომხდარიყო, რომ ერთხელაც კაცს გაზეთი გვერდზე გადაედო და მართლა ყური დაეგდო ცოლისთვის. ნეტავ კიდევ რამდენი ასეთივე უღიმღამო დღე გაივლიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის სხვადასხვა სასტუმროში, რამდენი „კატა“ მოუნდებოდა ამერიკელ ქალბატონს, სანამ ორივე მიხვდებოდა, რომ ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები არიან.

გავიდოდა წლები, ალბათ ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა, ალბათ ყველა ყველაფერს მიხვდებოდა.

და მაინც, რა საოცარი მოწყენილობაა სასტუმროს ოთახებში, სადაც არ არის სიყვარული და რა საოცრად საინტერესოა საავადმყოფოს ჰოლი, სადაც მისის კინგი ყოველდღე დიდი ხნის დაღუპულ მეუღლეს ელოდება ან პატარა რვადოლარიან ოთახში, რომელთა ბინადართაგან ერთს საამაყო ნაწნავები აღარ აქვს, ხოლო მეორეს საამაყო საათი, მაგრამ აქვთ დიდი, დიდი სიყვარული. ცხოვრებაში კი ყველაფერი სიყვარულით იწყება.

უსიყვარულოდ, ხომ, მზეც არ სუფევს ცის კამარაზე.

საუბრები ლიტერატურაზე

გაბრძოლება

რუბრიკას უძღვება
თამაზ ვასაძე

დასავლურ სამყაროსთან შეპირისპირებით გაიხსნება ქართული ცნობიერება ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ და ეს სამყარო აქ ძალიან კრიტიკულად არის დანახული. დასავლეთისადმი კრიტიკული დამოკიდებულება მეოცე საუკუნის 20-იან წლებში სხვა ქართველი მწერლების მიერ შექმნილ ნაწარმოებებშიც აშკარაა. ამ დამოკიდებულებას ჰქონდა გარკვეული ობიექტური საფუძველი: დასავლური კაპიტალიზმი მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ უხეში იყო; ცხადია, არც დასავლური კოლონიალიზმი წარმოადგენდა ჰუმანისტური იდეალების ხორცშესხმას; პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთს არყევდა ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური წინააღმდეგობები, სულიერი კრიზისი და ფასეულობათა გამოფიტვა, ცხოვრების სტანდარტიზაცია და ვულგარიზაცია, რასაც ორტეგა-ი-გასეტი „მასების ამბოხს“ უწოდებს; მაინც ყოველივე ამაზე მეტად დასავლეთისადმი ნეგატიურ განწყობას, როგორც ჩანს, წარმოშობდა ის, რომ საქართველო მარტო აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის წინაშე.

ნიკო ლორთქიფანიძის მიერ წარმოსახულ დასავლურ სამყაროში ფულის და მატერიალური სიმდიდრის კულტი მეფობს, უსულგულო პრაგმატიზმი განსაზღვრავს ცხოვრების ატმოსფეროს. ამ სამყაროს განასახიერებენ ირონიულად გარითმული გვარების მქონე პერსონაჟები – ევროპელი ჰექსლეი და ამერიკელი ბრომლეი. ჰექსლეი ცდილობს წარმოჩნდეს ისე, როგორც მოითხოვს ძველი ევროპული, არისტოკრატული კულტურა (ძველი ქართულის მსგავსი), წარმოდგეს როგორც ღირსების გრძნობით აღსავსე, სამართლიანობის დამცველი, სიყვარულით შთაგონებული რაინდი, ქალისთვის უანგარო მფარველობის გამწევი ჯენტლმენი. შესაძლოა, შინაგანად ეს როლი მთლად უცხო არც არის მისთვის, მაგრამ არ შეუძლია თანმიმდევრულად ითამაშოს იგი, რადგან მასში მძლავრობს ზნეობრივად განურჩეველი სწრაფვა სიმდიდრის მოხვეჭისკენ, გამომყენებლური დამოკიდებულება ადამიანებისადმი, რომელიც ჯენტლმენობას თავის ნიღბად და ინსტრუმენტად აქცევს.

მისგან განსხვავებით ამერიკელი მაგნატი ბრომლეი „ორფენოვანი“ არ არის, ეს გაუთლელი კაცი, გუშინდელი კოვბოი არ თამაშობს და ინიღბება. იგი ბევრად აღემატება ჰექსლეის ენერგიულობით, ნებისყოფის სიმტკიცით და მიზანსწრაფულობით. მას უხვად აქვს ვიტალური ძალები და არ ემუქრება ბუნინის მიერ დახატული ამერიკელი კაპიტალისტის, „სან-ფრანცისკელი ბატონის“ ხვედრი – სიცოცხლისუნარიანობის დაშრეტით გამოწვეული აბსურდულად უეცარი სიკვდილი. ნიშანდობლივია ის, რომ ნიკო ლორთქიფანიძის ამერიკელი პერსონაჟი თანდათან ცივილიზებულ იერს იძენს, იგი იცვლება და იზრდება. ტრაგედია, რომელიც მოთხრობაში ხდება, სწორედ მისთვის გამოდგება სულიერების გაკვეთილი, ის შეძლებს გაიგოს ამ ტრაგედიის მნიშვნელობა...

ქართველი არისტოკრატი ქალი ელი გორდელიანი ევროპაში ჰექსლეის რაინდულ-რომანტიკულ სიყვარულს მინდობილი ხვდება, შემდეგ კი აღმოაჩენს, რომ ეს სიყვარული ცრუა, რომ მარტოა და მის გარშემო ანგარიშის და ანგარების, პრაქტიცისტული რაციონალიზმის სიცივე სუფევს. ის სასტიკი სიცხადით ხედავს, როგორ უმზადებენ ჰექსლეის ინდოელი მსახურის, თავისი ბატონის მიერ ბრომლეისთვის მიყიდული რამინოს ბედს, თავდადებული ერთგულების უნარით ჰაკი აძბას რომ გვაგონებს.

მაგრამ თუ თავისთავში კონცენტრირებული ინდოელი პროტესტის ნიშნად უხმაუროდ უჩინარდება, ელი გორდელიანის პროტესტი სკანდალურ-ექსცენტრულია. სახიფათო ეროტიულ შოუში მონაწილეობა, ცეკვა გველებით ელის აჯანყებაა უსიყვარულობის და ანგარების წინააღმდეგ. იგი ერთბაშად ემიჯნება უსულო სინამდვილეს, თავის ირგვლივ პოეტურ-მაგიურ სივრცეს შემოწერს და მასში მკვიდრდება. ელი დასავლელთა გამომთვლელ რაციოს უპირისპირებს არარაციონალურ გაბედულებას, სიცოცხლის სასწორზე შეგდებას, მათ საქმიან სიფხიზლეს – დიონისურ თრობას და ექსტაზს, თავდავიწყებას, მათ ნელთბილ სასიყვარულო თამაშებს – სიკვდილის ზღვარზე ყოფნით გამძაფრებულ ეროტიკას. გველებით ცეკვა ბუნების სტიქიურ ძალებთან, მიწასთან სიახლოვის გამოხატულებაა. ეს არქაული, რიტუალური წარმომავლობის მქონე ფენომენი თავისი არსით ეწინააღმდეგება რაციონალისტურ-ტექნიცისტურ, ურბანულ დასავლურ ცივილიზაციას, ამ ცივილიზაციას იგი მხოლოდ გასართობ სანახაობად ქცეული შეიძლება შეუთავსდეს.

ელი გორდელიანის არაორდინარული ქმედების მრავალმნიშვნელოვან ხატში გამოსჭვივის ქართული ნაციონალური მსოფლგაგების, კულტურის არსებითი საზრისები: თვითშეწირვის, ცოდვათა გამომსყიდველი მსხვერპლგაღების ქრისტიანული პრინციპი (რომელზეც მოთხრობის ეპიგრაფიც მიგვანიშნებს); უღირსი სიცოცხლის არისტოკრატულად ამაყი უგულებელყოფა (გავიხსენოთ *„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...“* ან გალაკტიონის სტრიქონები: *„სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი, ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“*); ბედისწერის წინააღმდეგ ირაციონალური ამბოხის პარადიგმა, არაერთხელ რეალიზებული საქართველოს ისტორიაში, როგორც, მაგალითად, 1924 წელს, რამდენიმე წლით ადრე ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის დაწერამდე; „გიჟური ლტოლვა“, აღბეჭდილი ბარათაშვილის მიერ, რომელსაც ელის სახე ნაწარმოებში ასოციაციურად უკავშირდება.

ქართული ცნობიერების მთავარ თვისებად მოთხრობაში იკვეთება სასწაულის რწმენა და მოლოდინი. ეს ცნობიერება, შპენგლერის კლასიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დახასიათდეს როგორც „მაგიური სული“. მისი გამოვლინებაა ელის იმედი, რომ გველებით ცეკვისას სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი სამშობლოში დაბრუნებას შეძლებს. „მაგიური სულის“ კარნახით გამოახმობინებს მომაკვდავი ელი საქართველოდან შელოცვას, რომელმაც მას სიცოცხლე უნდა შეუნარჩუნოს. მაგრამ ელის ბედის სასწაულებრივად სასიკეთო შემობრუნება არ ხდება – რადიო არ შეიძლება იყოს ჯადოსნური ძალების გამტარი, აღმოსავლური „მაგიური სული“ და დასავლური რაციო, ტექნიკა ერთმანეთს გამორიცხავენ.

თავისი მსხვერპლგაღებით, განწირული ჰეროიკულ-არტისტული გაბრძოლებით ელი გორდელიანი მაღლდება გარემომცველ უსულობაზე, აღიდგენს დაკარგულ ღირსებას. იგი ეროტიულ შოუს ნებით თუ უნებურად ტრაგედიად აქცევს და ააშკარავებს ადამიანისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების უსახურ არსს.

მაგრამ დასავლურ ცივილიზაციას იმ მხარეებთან ერთად, რომლებსაც ელი ტრაგიკულად აპროტესტებს, აქვს სხვა, უფრო ღრმა და არსებითი ასპექტიც, რომელიც ელის შეუმჩნეველი რჩება და რომელზე დაყრდნობითაც მას შეეძლო ღირსების აღდგენა ტრაგიკული მსხვერპლგაღების გარეშე.

ჰექსლეი ჩააგონებს ელის, რომ თავისი ბუნებრივი მონაცემების, ალღოს და გონების სიმახვილის, გემოვნების წყალობით მას აქვს შესაძლებლობა დიდ წარმატებას მიაღწიოს დასავლეთში, ვთქვათ, როგორც მსახიობმა. ჰექსლეის ამ შემთხვევაშიც ანგარება ამოძრავებს, სურს ქალი საკუთარ კინობიზნესში ჩააბას და ამით სარგებლობა ნახოს. ელიც აქ სწორედ ანგარებას ხედავს და ამიტომ მტკივნეულად აღიქვამს და უარყოფს ჰექსლეის შეთავაზებას. მაგრამ ის ვერ თუ არ იაზრებს, რომ ამ შეთავაზების მიღება საშუალებას აძლევს მას აღარ იყოს სხვის (ანუ ჰექსლეის) კმაყოფაზე, თვითონ შექმნას თავისი არსებობის მატერიალური საფუძველი, გახდეს დამოუკიდებელი და თავისი ბედის განმსაზღვრელი. ის, რაც ქართველი არისტოკრატისთვის გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდება, არის დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტური პრინციპი – თავისუფალი ინდივიდუალური თვითრეალიზაცია. დასავლური სამყაროს სიძლიერის, ნაყოფიერების და უპირატესობის საწინდარია ის, რომ ამ სამყაროში ადამიანებს მოპოვებული აქვთ შესაძლებლობა გამოამჟღავნონ და განავითარონ თავისი უნარები, შრომით და შემოქმედებით დააფუძნონ საკუთარი ღირსება და დამოუკიდებლობა. როცა თავისუფალი ინდივიდუალური თვითრეალიზაციის პრინციპი ხორციელდება, ცხადი ხდება, რომ დასავლურ ცივილიზაციაში სწორედ იგია მთავარი და არა უარყოფითი ტენდენციები.

ნიკო ლორთქიფანიძე ფერების გამუქებით წარმოსახავს თავის თანადროულ დასავლეთს, მაგრამ მაინც მონიშნავს მასში პროდუქტიულ, ადამიანისთვის გასაქანის მიმცემ საწყისს, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო გამოიკვეთა და გაძლიერდა.

ელი გორდელიანმა ტრაგედიით, სიკვდილით დაამკვიდრა თავისი პიროვნული და ეროვნული მნიშვნელოვნება, ნაციონალური მსოფლგანცდის რადიკალიზებით და მკვეთრი, გამომწვევი დემონსტრირებით დაადასტურა საკუთარი ღირსება. მისთვის უცხო დარჩა თვითდამკვიდრების დასავლური წესი, რომელიც ნაკლებად რომანტიკული ჩანს, რადგან ყოველდღიური, მეთოდური შრომის აუცილებლობას გულისხმობს.

ქართული ენისა და ლიტერატურის პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელო 380 წლისაა

პირველ ნაბეჭდ სახელმძღვანელოდ ითვლება „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, რომელიც 1629 წელს დაბეჭდილა რომში, მხედრული შრიფტით.

მწერალი, საეკლესიო მოღვაწე, ერისკაცობაში ნიკოლოზად ცნობილი, ჩოლოყაშვილი ნიკიფორე (ირბაქი), დაახლოებით, 1585-1659 წლებში მოღვაწეობდა. განათლება მიიღო რომის ბერძნულ სკოლაში (1596-1608), შეისწავლა ფრანგული, იტალიური, ესპანური, არაბული და თურქული ენები. 1608 წელს საქართველოში დაბრუნდა. იგი, თავის დროზე, განათლებულ ადამიანად იყო მიჩნეული.

1629 წელს, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ხელშეწყობით, რომში ქართული სტამბა დაარსდა. ამავე წელს დაიბეჭდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, რომელშიც გარდა ანბანისა მოთავსებულია საკითხავი მასალა: მარტივი ხალხური ენით გადმოცემული ქართული ლოცვების ტექსტები. წიგნს ლათინური თავფურცელი აქვს, ვერტიკალური ჩამოწერილი ანბანის გასწვრივ ნაჩვენებია თითოეული ასო, მისი მნიშვნელობა. ანბანის შემდეგ მოცემულია გადაბმული ასოები, მათი მნიშვნელობის ქართული ტექსტები: „მამაო ჩვენო“, „ღვთისმშობლის ლოცვა“, „მრწამსი“, უკანასკნელ გვერდზე კი დაბეჭდილია იმავე ლოცვებისა და „მრწამსის“ ლათინური ტექსტები ქართული ტრანსკრიფციით *(Антологи педагогической мысли Грузинской ССР. М. 1987г.).*

დავით კარიჭაშვილის აზრით: *„ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ შედგენილი უნდა იყოს ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ-ნიკიფორე (ირბაქის) მიერ.“*

თანამედროვენი მას უწოდებდნენ ბრძენსა და ფილოსოფოსს, რიტორს, *„ღირსსა ყოვლისა სიკეთისა“* (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 11).

ანა სამადაშვილი
სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი

ALPHABETVM
IBERICVM,
SIVE GEORGIANVM,
CVM ORATIONE DOMINICALI
Salutatione Angelica, Symbolo Fidei,
Præcepta Decalogi, Ecclesiæ Sacramentis, & Operibus
Misericordiæ.
Latina, & Iberica lingua compositis, & Characterе Georgiano impressis:
Accesserunt Litaniæ B.V. eisdem lingua, & characteribus Ibericis.
ROMAE, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, MDCXXIX.
SVPERIORVM PACVLTATE.

Титульный лист и страница «Грузинской азбуки с молитвами» (Рим, 1629 г.).

პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელოს ლათინური თავფურცელი. „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. რომი, 1629 წ. 32 გვ.

ALPHABETVM
IBERICVM,
Siue
GEORGIANVM
Vulgare.
Habet litteras Trigintafex.

Figura.	Nomen.		Potestas.	
ა	ან	An	a,	
ბ	ბან	Ban	b,	
გ	გან	Ghan	gh,	vt ج, Hebr. & Ital. ghe, ghi.
დ	დონ	Don	d,	
ე	ენ	En	e,	
ვ	ვინ	Vin	u,	Consonans, vt β Grec. & Ital. serua.
ზ	ზენ	Zen	z,	vt Ital. Zefiro.
ჰ	ჰაი	Hai	h,	
ჱ	ჱაი	Hhai	hh,	vt خ Arab.
თ	თან	Than	th,	vt θ, Grac.
ი	ინ	In	i,	
			A 2	3

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი (ირბაქი)

თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო კურსის კონცეფციაზე მუშაობა დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალი სასწავლო კურსის შემუშავება დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** საჯარო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების ამ კურსის შემოღებასთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ **ალექსანდრე კვიტაშვილს**, თავდაცვის მინისტრ **ბაჩო ახალაიას**, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, **ეკატერინე ზღულაძესა** და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს, **დავით იოსელიანს** შეხვდა.

სამუშაო შეხვედრის დაწყებამდე დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა: *2010 წლის სექტემბრიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევა ახალი საგანი – სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება შემოვა. ამ საგანში იქნება რამდენიმე კომპონენტი: სამოქალაქო თავდაცვა, საგზაო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება, ქართული ჯარის ისტორია და საქართველოს არმიის შეიარაღების მიმოხილვა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ რეფორმას პოზიტიურად ხვდებიან როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები.*

პროექტი მოინონეს და მის განხორციელებაში მხარდაჭერა გამოთქვეს შეხვედრის მონაწილე უწყებების ხელმძღვანელებმა.

ალექსანდრე კვიტაშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი: *ახალი საგნისთვის უნდა შემუშავდეს რამდენიმე სფეროს სწავლების გეგმა, ერთ-ერთი მათგანი იქნება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ანუ უფროსკლასელებს ვასწავლით პირველად სამედიცინო დახმარებას. ეს კურსი გაითვალისწინებს, აგრეთვე, მათ მზაობას საგანგებო სიტუაციებში და სხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის. თავდაპირველად, შეიქმნება სასწავლო კურსი, რომლის მიხედვითაც გადამზადდებიან პედაგოგები, ვინც კურსის სწავლება უნდა წარმართონ.*

ალექსანდრე შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*: სექტემბრიდან სასწავლო გეგმაში შემოვა ახალი საგანი – სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, რომელიც რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ამ საგნის სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვყავს ძალიან რთული მეზობელი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის დროს გამოიყენა ბევრი სხვადასხვა იარაღი. ვფიქრობთ, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა არის კასეტური ბომბი, ნაღმი, რათა თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საგანი, რომელიც განხორციელდება ეტაპობრივად, სკოლის სამივე საფეხურზე სხვადასხვა სკითხებს შეისწავლიან. სწორედ ამისთვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც აპრილის ბოლომდე მოამზადებს სასწავლო გეგმას. ჯგუფში ჩაერთვებიან ჯანდაცვის, თავდაცვის, გარემოს დაცვის, შინაგან საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ექსპერტები. ამ ჯგუფის მიერ აპრილისთვის მომზადდება სასწავლო გეგმა, ამის შემდგომ კი შეიქმნება სახელმძღვანელოები.*

ეკა ზღულაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე: *დიდ მადლობას მოგახსენებთ ასეთი დაინტერესებისთვის. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, მინდა დეტალურად გაგაცნოთ ამ საგანში ჩვენი უწყების ჩართულობა. ერთი წელია, საერთაშორისო ორგანიზაციების – USAID-ისა და წითელი ჯვრის დახმარებით ვმუშაობთ ამ ტიპის პროგრამაზე, ასევე პროგრამის დამუშავებაში ჩართულნი არიან არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების კუთხით დიდი გამოცდილება აქვთ, აგრეთვე ჩართულია საპატრიარქო, ჯანდაცვის სამინისტრო, ახალგაზრდული სპორტის დეპარტამენტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ა.შ. ჩვენი სამინისტროს ფარგლებში, ამ პროგრამის განხორციელებას კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფში – მეოთხედან მეექვსე კლასამდე – მოვიაზრებდით, რადგანაც მხოლოდ ჩვენი უწყება ფართომასშტაბიან პროექტს ვერ განვახორციელებდა. რადგანაც ახლა ეს საკითხი სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადდა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში დაინერგება სკოლებში, როგორც სავალდებულო საგანი, ამას, ბუნებრივია, მივესალმებით. რადგანაც სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების შესახებ ბავშვების ინფორმირებულობის ხარისხი ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალია, ამ ტიპის პროგრამებით დაზიანების ხარისხი და მსხვერპლიც კი, რომელიც ბავშვებთან არის დაკავშირებული, შეგვიძლია მინიმუმამდე დავიყვანოთ. ბუნებრივია, ეს პროგრამა გადანაწილდება ასაკის მიხედვით, დაწყებით კლასებში ვისაუბრებთ საგზაო უსაფრთხოებაზე, ასევე ხანძრის შემთხვევაში უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე და სხვა ელემენტარულ საკითხებზე. ასე რომ, სხვადასხვა ელემენტები გაერთიანდება, ჩვენი ჩართულობა კი მაქსიმალური იქნება. უცილებელია და მისასალმებელი, რომ ჯანდაცვის სამინისტროც ჩაერთო ამ პროცესებში, ვფიქრობთ, საინტერესო პროგრამა გამოვა. ტექნიკურ დეტალებზე სამუშაო ჯგუფი იმსჯელებს, კონცეფცია მთლიანობაში ჩამოყალიბებულია – ეს ის თემებია, რომლებიც ამ პროგრამაში გვინდა შევიდეს, შემდგომ კი საჭირო გახდება პედაგოგებისა და მეთოდისტების დახმარება, თუ როგორ მივაწოდოთ ის ბავშვებს.*

დავით იოსელიანი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე: *კონკრეტულად გარემოს დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია კატასტროფების მართვის გეგმაზე, შესაბამისად, ამ კომპონენტში ვიქნებით ჩართული, აგრეთვე, ჩვენი მონაწილეობა იქნება რადიაციული უსაფრთხოების კუთხით. სამწუხაროდ, რუსეთმა დაბინძურებული ტერიტორიები დაგვიტოვა, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა საფრთხეს წარმოადგენს ეს მათთვის და როგორ დაიცვან თავი. ამ კუთხით მუშაობაში ჩაერთვებიან სპეციალისტები. .*

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სპეციალისტებთან ერთად სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები.

ექსპერტებისგან შემდგარი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო კურსის კონცეფციაზე მუშაობას აპრილში დაასრულებს. სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შეირჩევა საპილოტე სკოლები, რომლებშიც სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლება განხორციელდება. პილოტირების საფუძველზე, ანალიზის შედეგად, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსი საბოლოო სახით ჩამოყალიბდება და მომავალში სავალდებულო საგანი გახდება.

ლალი ჯელაძე

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, **აკაკი სეფერთელაძემ** იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულ **ლაშა მაქაცარიასთან** ერთად წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში ახლად გარემონტებული №1 საჯარო სკოლა გახსნა.

მაღლაკის №1 საჯარო სკოლა ექსპლუატაციაში 1934 წელს შევიდა. 75 წლის განმავლობაში შენობა კაპიტალურად არ გარემონტებულა. 2009 წლის იანვარში ძლიერმა ქარიშხალმა სკოლას მთლიანად გადახადა სახურავი და მოხსნა კედლის პარაპეტი. შექმნილი ავარიული ვითარების გამო სკოლაში სასწავლო პროცესის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ამდენად, აუცილებლობას წარმოადგენდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლაში, სადაც 200-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ოთახი, მთლიანად გამოიცვლა სკოლის სახურავი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოყოფილი 40 000 ლარით დამონტაჟდა გათბობის სისტემა. სკოლის მთლიანი რეაბილიტაცია 300 000 ლარი დაჯდა და რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით, პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ როგორც სამეცნიერო წრეების ღვაწლმოსილი წარმომადგენლები, ასევე სკოლების დირექტორები, პედაგოგები, განათლების ექსპერტები და სპეციალისტები. სამინისტროს მხრიდან შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი **ნათია ჯოხაძე**, ამავე ცენტრის ჰუმანიტარული მიმართულების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

სამუშაო ჯგუფის წევრები საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ პირველი კლასის ყველა სახელმძღვანელოს გაეცნენ, განიხილეს მათი შედგენის მეთოდური თუ შინაარსობრივი პრინციპები. დარგის მეცნიერებმა იმსჯელეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“, ასევე გოგებაშვილის პრინციპებზე აგებული და ალტერნატიული მეთოდოლოგიური მიდგომით შედგენილი სახელმძღვანელოების მიზანშეწონილობის შესახებ საგანმანათლებლო სივრცეში.

* * *

უცხო ენების სწავლების გაძლიერების მიზნით პედაგოგები საზღვარგარეთიდან ჩამოვლენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **დიმიტრი შაშკინის** განცხადებით, 2010 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კიდევ ერთი ახალი პროექტი განხორციელდება. პროექტი უცხო ენების სწავლების გაძლიერებას გულისხმობს: *„ჩვენი მიზანია, ყველა ქართულ სკოლას საზღვარგარეთ მეგობარი სკოლა ჰყავდეს. დაგეგმილია საზღვარგარეთიდან მასწავლებლების ჩამოყვანა, რომლებიც ჩვენს პედაგოგებთან ერთად მოსწავლეებს უცხო ენებს შეასწავლიან. ერთობლივი მუშაობით არა მხოლოდ ჩვენი მასწავლებლების გამოცდილება ამაღლდება, ბავშვებიც უკეთესად აითვისებენ უცხო ენას“.* დიმიტრი შაშკინმა სტუმრებთან ასევე დეტალურად ისაუბრა სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდაზე და ამ მიზნით ეროვნულ საგამოცდო ცენტრებში ყველა სავალდებულო საგანში მინიმალური კომპეტენციის ჩაბარებაზე. საუბარი შეეხო, ასევე, 2010 წლის ივლისში პედაგოგთა ნებაყოფლობით სერტიფიცირებასა და სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის ხელფასის მომატებას; ახალი დისციპლინების, მსოფლიო კულტურისა და სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების დანერგვას, კომპიუტერისა და უცხო ენის სწავლების გაძლიერებას. მინისტრის განცხადებით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მათ სრულყოფილი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ რეფორმებზე, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების რეფორმის მეორე ეტაპს, 2010-2011 წლებში, ეტაპობრივად განახორციელებს. რეფორმა ითვალისწინებს როგორც განათლების პოლიტიკისა და კანონმდებლობის დახვეწას, ასევე ეფექტური საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას, კვალიფიციური კადრების მომზადებასა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

* * *

განათლების რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, საქართველოში ე.წ. „ალუმნაიას“ პროგრამის ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო. პროგრამა წარმატებით ხორციელდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ალუმნაიას“ პროგრამა მიზნად ისახავს, სკოლებში შეიქმნას წარმატებულ „კურსდამთავრებულთა კლუბები“, რომელთა წევრებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თავიანთი სკოლების განვითარებაში.

აღნიშნული პროექტი პირველად თავად განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **დიმიტრი შაშკინმა** თბილისის 52-ე საჯარო სკოლაში წარადგინა, სადაც ის 11 წლის განმავლობაში სწავლობდა. მისი მხარდაჭერით, 52-ე სკოლაში გარემონტდა და სათანადო ინვენტარით აღიჭურვა ერთ-ერთი საკლასო ოთახი. აღნიშნული პროექტი სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს, საკუთარი წვლილი შეიტანონ სკოლის კეთილდღეობასა და წარმატებაში: *„ყველა სკოლას ჰყავს წარმატებული კურსადამთავრებული და თუ მათ აქვთ სურვილი, დაეხმარონ მშობლიურ სკოლას, ეს პროგრამა ამის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა, რომ დახმარება ნებაყოფლობითია, დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე და შესაძლებლობებზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 11 წელი ვმუშაობდი ამერიკულ კორპორაციაში, ძირითადად, საზღვარგარეთ. დღეს მაქვს შესაძლებლობა დავეხმარო, ჩემს სკოლას რომელთანაც ძალიან ბევრი თბილი მოგონება მაკავშირებს და ამ სახით მინდა გამოვთქვა მადლობა იმ სკოლის მიმართ, რომელშიც თერთმეტი წელი გავატარე“* – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

რეცენზია

წიგნი ქართული მხატვრულინაპოლეონიანას შესახებ

გურამ ყორანაშვილი

გასულ წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა პროფესორ **მერაბ კალანდაძის** წიგნი **„ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში“**. მასში საკუთრივ ჩვენი ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან (ნიკოლოზ ბარათაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ანა კალანდაძე) ერთად საუბარია, აგრეთვე, ალექსანდრე ორბელიანისა და გიორგი წერეთლის შესაბამის პუბლიცისტურ წერილებზე. სამწუხაროდ, ავტორს გამორჩენია ქართველი პოეტის, გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის) (ცხოვრობდა 1814-1902 წლებში) ლექსი „კორსიკანელი“, რომელიც, ცხადია, სწორედ ნაპოლეონს (პირველს) ეხება (იხ. „ქართული მწერლობა“ ოცდაათ ტომად, ტომი XX, თბილისი, 2003, გვ. 278-79). ნაშრომში დაწვრილებით არ არის გადმოცემული ნიკო ნიკოლაძის შესაბამისი ნააზრევი, ალბათ იმიტომ, რომ იგი სპეციალურად ჰქონდა განხილული პროფესორ ვარლამ დონდუას.

წიგნის III კარში გადმოცემულია ნაპოლეონის შესახებ თემატიკა საზღვარგარეთულ მხატვრულ ლიტერატურაში, ძირითადად – ჯორჯ გორდონ ბაირონისა და ფრიდრიხ შილერის ნააზრევი. რასაკვირველია, ეს მონაკვეთი ორგანულად არ ერწყმის წიგნის ძირითად თემას, რაც სათაურშია გაცხადებული. ამიტომაც, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა იგი (ეს ნაწილი) ცალკე დანართის სახით ყოფილიყო მოცემული.

დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფესორი მერაბ კალანდაძე ისტორიკოსთა იმ უაღრესად ვიწრო წრეს მიეკუთვნება, რომელიც ინტერესს იჩენს ისტორიის ზოგადი, თეორიული საკითხისადმი. ეს კარგად ჩანს სარეცენზიო წიგნშიც. პირველი თავი გადმოსცემს საკითხს: „რა არის ისტორია, ხელოვნება თუ მეცნიერება?“ (გვ. 7-16). დღევანდელი ქართველი ისტორიკოსების აბსოლუტური უმეტესობისთვის საკითხის ამგვარი დასმა უცნაურად გამოიყურება, რამეთუ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ისტორია (ისტორიოგრაფია) ოდენ მეცნიერებად ითვლებოდა. ამით თითქოს უფრო მაღლდებოდა შესაბამისი დარგის სტატუსი. მაგრამ მსოფლიო აზროვნებაში ხომ აღნიშნული საკითხი დიდი ხნის წინათ დადგა. მეტსაც მოგახსენებთ, თვით ძველი ქართული ისტორიოგრაფია მსგავსი მტკიცებულებისათვის სერიოზულ საფუძველს იძლევა. რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფია სინთეზია მეცნიერებისა და ხელოვნებისა (მხატვრული ლიტერატურისა), მასში თვალსაჩინოდ ფიგურირებს ხელოვნების ელემენტები. ამიტომაცაა, რომ დღევანდელ პროფესიონალ ისტორიკოსთა უმეტესობასაც კი დიდად უჭირს მიმზიდველი, წარმტაცი თხრობა. ცხადია, ჩვეულებრივი წარმოდგენით თხრობა თითქოს ადვილია, მაგრამ საკითხავია, თუ როგორ ხდება თხრობა, როგორ გაუძლებს იგი დროის მკაცრ გამოცდას. მისასალმებელია, რომ ავტორი შესაბამისი საკითხის თაობაზე მექანიკურად, დაზუთხვა-დაზეპირების დონეზე კი არ მსჯელობს, არამედ სწვდება საკითხის არსს.

დიდად საინტერესოა, აგრეთვე, პირველი კარის მესამე თავი „ლიტერატურაში გაყალბებული ისტორიული სახეები“ (გვ. 21-31). მას ინტერესით გაეცნობიან არა მხოლოდ ისტორიკოსები, არამედ ფართო წრის მკითხველებიც.

წიგნის მეორე თავში ლაპარაკია მოცემულ საკითხზე არსებული ისტორიოგრაფიის (ლიტერატურის) შესახებ.

პროფესორ მერაბ კალანდაძის წიგნი, უდავო დებულებებთან ერთად, შესიტყვებებს, მასთან კამათის სურვილს აღძრავს. შევჩერდებით რამდენიმე საკითხზე.

ავტორის დამოკიდებულება (მიმართება) მარქსიზმისადმი, კერძოდ ისტორიული მატერიალიზმისადმი, მკვეთრად უარყოფითი გახლავთ. ჩანს, იგი უკრიტიკოდ იღებს ტრადიციულ საბჭოურ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმი თითქოს მონოლითურ, ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, მაგრამ კრიტიკული თვალთახედვით განხილვისას აღმოჩნდება, რომ მსგავსი წარმოდგენა ოდენ ქიმერაა. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ უწინ საქართველოში სოციალ-დემოკრატებმა, ე.წ. „მენშევიკებმა“ კარგად უწყოდნენ ბოლშევიზმ-ლენინიზმის ნამდვილი ფასეულობა (უფრო სწორად – ანტიფასეულობა), მისი შეუთავსებლობა ავთენტიკურ მარქსიზმთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გაუგებარი რჩება ნაპოლეონის ცხოვრება-მოღვაწეობის „მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია“ (გვ. 75). წიგნის 110-ე გვერდზე ვკითხულობთ: *„ასეთი მსჯელობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას მკაფიოდ ეტყობა იმ დროის კვალი, როდესაც 30-იან წლებში, უმთავრესად ი. სტალინის ძალისხმევით, ნაპოლეონს უყურებდნენ როგორც „ევროპულ ჩინგიზ-ხანს“.* მაგრამ, ავტორს რომ სათანადოდ მოეხმო და გაეაზრებინა თვითონ კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სათანადო შეხედულებანი, მაშინ საკითხს სხვაგვარად გაიაზრებდა.

მეტსაც ვიტყვით. რასაკვირველია, ისტორიის სერიოზული პრობლემების გასაგებად დღეს იოსებ სტალინის აზრების მოხმობა არასერიოზულია, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ შემდეგს. 1937 წლის 3-5 მარტს შემდგარ კომპარტიის ცეკას პლენუმზე სტალინი ნაპოლეონის მთავრობას (ხელისუფლებას) განმარტავდა, როგორც ბურჟუაზიულს, რომელმაც რევოლუციის ჩახშობის მიუხედავად შეინარჩუნა *„მხოლოდ ის შედეგები, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის“.* ასე რომ, ამ შემთხვევაშიც კი ნაპოლეონის როლი მხოლოდ უარყოფითად როდი არის წარმოდგენილი. 1941 წლის 6 ნოემბერს კი, უფრო ფართო ხასიათის თავყრილობაზე, „ბელადი“ ამბობდა: *„ჰიტლერი ჰგავს ნაპოლეონს არა მეტად, ვიდრე კატის კნუტი ლომს, ვინაიდან ნაპოლეონი იბრძოდა რეაქციის წინააღმდეგ, ეყრდნობოდა რა პროგრესულ ძალებს, ჰიტლერი კი, პირიქით, ეყრდნობა რეაქციულ ძალებს, აწარმოებს რა ბრძოლას პროგრესულ ძალებთან“.*

თვითონ ავტორის შეხედულებით, *„ბონაპარტიზმი წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები“* (გვ. 91). *„ბონაპარტიზმის არსი მდგომარეობდა შემდგომში: პირველ ყოვლისა მას საფუძვლად ედო საზოგადოებრივი წესრიგის იდეა და ორიენტირებული იყო ზომიერ სოციალურ რეფორმებზე, რომელიც (!) განმსჭვალულია (!) ლიბერალური სულისკვეთებით. სამხედრო დიდება, ევროპის ხალხების გაერთიანება, რა თქმა უნდა, საფრანგეთის მეთაურობით, ნაპოლეონის მცდელობა, შეექმნა ახალი გლობალური ევროპა, წარმატებულად დასრულდა“* (გვ. 81-82, იხ. აგრეთვე გვ. 90); ეს მოსაზრება ჩვენი მხრივ შესიტყვებას არ იწვევს და ძალიან ახლოსაა თვითონ მარქსიზმის კლასიკოსების შესაბამის შეხედულებასთან.

ავტორს ვეთანხმებით იმაშიც, რომ ნაპოლეონის ღვაწლი (მის სამხედრო გენიასაც რომ თავი დავანებოთ) შეუდარებელია სტალინის ღვაწლთან (შეგახსენებთ, რომ კონსტანტინე გამსახურდია უპირატესობას ამ უკანასკნელს აძლევდა). ამ საკითხზე პროფესორი მერაბ კალანდაძე ვრცლად საუბრობს II კარის მეოთხე თავში, რომლის სახელწოდებაა „კონსტანტინე გამსახურდია და ნაპოლეონი“. თავგადაკლული სტალინისტებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მკითხველებისთვის, რომლებსაც ხელეწიფებათ ობიექტური განსჯა, პატივს სცემენ ფაქტებსა და ლოგიკას, ავტორისეული შესაბამისი მსჯელობა დამაჯერებელი გახლავთ. მართლაც, თუ რას წარმოადგენდა ლენინ- სტალინისეული „ყაზარმული სოციალიზმი“ დღეს ეს საკამათო არ უნდა იყოს. ეჭვგარეშეა ისიც, რომ შესაბამისი „მსოფლიო სოციალისტური სისტემის“ კრახი უდიდესი არგუმენტია ლენინ-სტალინის იდეების კრახის დასადასტურებლად. საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ნაღვაწისათვის კი ისტორიას ასეთი მკაცრი განაჩენი არ გამოუტანია.

უფრო კონკრეტულ მიდგომას საჭიროებს ავტორისეული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ნაპოლეონისა და სტალინის მოღვაწეობა „ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესის“ ვარიანტები იყო (გვ. 91-92). „ტრადიციული საზოგადოება“ სხვადასხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული საფრანგეთსა და რუსეთში. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, განაპირობა ამ ორი აღნიშნული ისტორიული პიროვნების სხვადასხვაობა. სოციალური ევოლუციის რუსული გზა სერიოზულ ახსნას საჭიროებს, რის ცდებსაც კი დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ვერ ვხედავთ.

საერთოდ პროფესორი მერაბ კალანდაძე შენიშნავს: *„სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე აღნიშნულ (ნაპოლეონის – გ.ყ.) თემაზე არსებული ლიტერატურა მეტად მწირია. ეს თანამედროვე ქართული, სამეცნიერო ლიტერატურის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია და იმედს გამოვთქვამთ, რომ ახლო მომავალში გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები, რათა ეს ვაკუუმი შეივსოს“* (გვ. 138). დიდად სამწუხაროდ, ამაში ავტორი სწორია და ეს თავის მხრივ, ცხადია, მიუთითებს ქართული ისტორიოგრაფიის სისუსტეს. მიუხედავად ე.წ. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მძლავრობისა, რუსეთში ხომ დაიწერა ევგენი ტარლესა და ალბერტ მანფრედის ბრწყინვალე საისტორიო მონოგრაფიები ნაპოლეონის შესახებ?

პირველ რიგში, უნდა გამოსწორდეს ის სამეცნიერო ვითარება, როცა ქართული ნაპოლეონიანა, უპირველესად და უმთავრესად, წარმოიდგინება მხატვრული ლიტერატურით. მაგრამ არც ისეა საქმე, რომ თითქოს ქართველმა ისტორიკოსებმა ამ მიმართებით არაფერი არ იღონეს. იმედია, ავტორი შეეცდება ამგვარი საერთო ისტორიოგრაფიული ვაკუუმის ამოვსებას.

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ სხვა, უფრო ნაკლები ხასიათის შენიშვნებიც გვაქვს.

ბონაპარტიზმზე, ბონაპარტისტებზე საუბრისას საჭირო იყო მეტი დაკონკრეტება, რამეთუ ამ შემთხვევაში ისტორიული მოვლენის სხვადასხვანაირ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე და მკითხველებს, ამ თვალსაზრისით, მეტი გარკვეულობა ესაჭიროებათ. მით უფრო გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს *„ცენზურის აკრძალვის გაუქმების შემდეგ რუსეთში“* (გვ. 33).

მეტი გარკვეულობაა საჭირო იმ დებულების დასასაბუთებლად, რომ სტენდალმა წითელი და შავი ფერებით ნაპოლეონის პროგრესული და ნეგატიური მისია გამოხატა (გვ. 65-66).

წიგნის 94-ე გვერდზე ვკითხულობთ: *„საქართველო გახდა სტალინის მიერ შექმნილი უნიტარული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი“,* რაც სულაც არ გამოხატავს ავტორისეულ მრწამსს. მომდევნო გვერდზე კი აღნიშნულია: *„...იმ ხალხებს, რომლებსაც ეს მოდელი (სტალინური სოციალიზმისა – გ.ყ.) ძალად მოახვიეს თავს, მხოლოდ დიდი უბედურება მოუტანა“.*

ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის გვარ-სახელის „კესტლერის“ ფორმით მოხსენიება (გვ. 123, 124, 127, 139) არ მიგვაჩნია მართებულად. ამ გვარ-სახელს (Castlereagh) რუსები გადმოსცემენ „კასლრის“ ფორმით, ქართულად, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა „კესტლრი“. სხვათა შორის, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ შესაბამის ტომში აღნიშნულია ფორმები – „კესტლრი“ და „კასლრი“.

„ისტორიკოსთა მცირე გერმანელთა სკოლის“ აღნიშვნა არაზუსტია, უნდა იყოს „ახალგაზრდა გერმანელთა სკოლა“.

რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროისათვის „ჩერნოგორიის“ ხმარება (გვ. 120) ანაქრონიზმია, რადგან ქვეყნის ეს სახელწოდება მოგვიანებით, სლავთა მიგრაციის შედეგად დამკვიდრდა. უნდა იყოს, ცხადია, „დალმაცია“.

სარეცენზიო წიგნში, აქა-იქ, მცირე უზუსტობანიც გვხვდება. შესაბამის გაზეთს „სოციალ-ფედერალისტი“ კი არ ეწოდებოდა (გვ. 68), არამედ – „სოციალისტ-ფედერალისტი“. „ოქროს შუაგულის“ (გვ. 99) ნაცვლად, რასაკვირველია, უნდა იყოს „ოქროს შუალედი“, „ავგეოსის“ (გვ. 104) მაგიერ – „ავგიასი“, „ხელოვნების“ (გვ. 135) ნაცვლად კი – „ხელოვანები“.

დაბოლოს, დავძენთ, რომ საერთოდ პროფესორი მერაბ კალანდაძის სარეცენზიო წიგნი უთუოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ისტორიისა და ისტორიოგრაფიის მთელ რიგ დიდად მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ მხრივ კი, დღევანდელი ქართველი მკითხველები სულაც არ არიან განებივრებულნი. სწორედ ამიტომ, საჭიროდ ვცანით საზოგადოებრიობისთვის მასზე (წიგნზე) ყურადღების მიქცევა.

ქართული ხელნაწერი – Online ენციკლოპედია

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტმა „ქართული ხელნაწერი (Online ენციკლოპედია)“ რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

პროექტის მიზანია, თავი მოუყაროს ქართულ ხელნაწერთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს; დაგროვილი ისტორიულ-ფილოლოგიური ნაშრომებისა და დამოუკიდებელი კვლევების საფუძველზე მოახდინოს ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ერთიანი სურათის რეკონსტრუქცია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიურად ჩართვა მეცნიერთათვის კვლევითი პროცესის გამარტივებას გამოიწვევს.

Online ენციკლოპედია დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს, სწრაფად მოიძიონ და გაეცნონ მათთვის საჭირო ინფორმაციას. ინგლისურენოვანი ვერსიის არსებობა კი უზრუნველყოფს ქართული ხელნაწერის შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უცხოელ მკვლევართათვის და დაინტერესებულ პირთათვის. ელექტრონული ენციკლოპედია განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის, მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო პროცესშიც.

წარმოდგენილი პროექტი ქართულ ხელნაწერ კულტურაზე ენციკლოპედიის შექმნის პირველი მცდელობაა.

თბილისის 126-ე საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის ტექნიკური მენეჯერი

როზერტ ლომიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

ბავშვთა პორნოგრაფია

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

გაგრძელება

როგორ უნდა ველაპარაკოთ:

■ ასწავლეთ ბავშვებს, არ მოექცნენ თანატოლთა ზეწოლის ქვეშ, მაგრამ ნუ დაუწყებთ ჭკუის სწავლებას. ბავშვებისთვის შეიძლება სასარგებლო და საინტერესო იყოს მაგალითები თქვენი ცხოვრებიდან.

■ *„ერთხელ ჩემმა მეგობრებმა სიგარეტი (ალკოჰოლი, ნარკოტიკი) მოიტანეს და გასინჯვა შემომთავაზეს. მე, რა თქმა უნდა, გავსინჯე, მაგრამ თავი უხერხულად და დაძაბულად ვიგრძენი, რადგან იმას ვაკეთებდი, რის, გაკეთებაც არ შეიძლებოდა. მე გადავაგდე სიგარეტი (გადავღვარე სასმელი). მეგობრები ცოტა ხანს დამცინოდნენ, მერე შეწყვიტეს“.*

■ *„მეგობართა კომპანიის აყოლა ადვილია. გაცილებით ძნელია, გააკეთო ის, რაც სწორია მაშინ, როცა ყველა გეუბნება გააკეთო ის, რაც არასწორია“.*

■ *„წინააღმდეგობის უნარის გამომუშავებით თავიდან აიცილებ შენთვის საზიანო და სახიფათო ნაბიჯებს, მეტ დამოუკიდებლობას მოიპოვებ და ამდენად, თანატოლთა წრეშიც მეტი ავტორიტეტით ისარგებლებ“.*

■ ასწავლეთ, როგორ თქვას „არა“:

„ყოველ ადამიანს აქვს სამი ხელშეუხებელი უფლება:

1. გააკეთოს ის, რაც მისთვის უკეთესია;

2. თავად გააკეთოს არჩევანი;

3. შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება“.

– „როცა მეგობრები ცდილობენ დაგიყოლიონ გააკეთო ის, რისი გაკეთებაც არ გინდა, სახიფათოა ან არ შეიძლება, უთხარი მათ, რომ არ გინდა ამის გაკეთება და რომ ეს შენ არ გაინტერესებს; შემდეგ კი გაეცალე მათ“.

„არა“-ს თქმის ნაბიჯებია:

– მტკიცედ დადექი შენს პოზიციაზე, თავს ნუ მოიტყუებ და ნუ მოიგონებ „გასამართლებელ საბუთებს“;

– კვლავ და კვლავ გაიმეორე შენი „არა“, მიზეზების განმარტებისა და თავის მართლების გარეშე;

– გაცვალეთ ადგილები და თვითონ მოახდინე მოწინააღმდეგეზე ზეწოლა: „რატომ მაძალებ ამის გაკეთებას?“;

– უარი თქვი საუბრის გაგრძელებაზე: „ამაზე ლაპარაკი აღარ მსურს“;

– შესთავაზე კომპრომისი ან ალტერნატიული ვარიანტი.

■ თანაუგრძნეთ ბავშვს მის მისწრაფებაში, თავი ჯგუფის წევრად იგრძნოს. უთხარით რაიმე თანაგრძნობის გამომხატველი. ამგვარად თქვენ ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად ნაბიჯს გადადგამთ:

– „შენთვის ალბათ მნიშვნელოვანია აკეთო ის, რასაც ყველა შენი თანაკლასელი აკეთებს“.

– „ყოველ ადამიანს უნდა, რომ მიღებული იყოს თავის წრეში. მე კარგად ვერ ვიგრძნობ თავს, თუკი ჩემ გარემოცვაში „ვერ ჩავეწერები“.

– „ბავშვებს, რომლებიც თანატოლებს „არას“ ეუბნებიან და შეუძლიათ მათ ზეწოლასთან გამკლავება, თავიდან რამდენადმე აკლიათ თავდაჯერებულობა, მაგრამ საბოლოოდ აცნობიერებენ, რომ სწორად იქცევიან“.

■ „რის გაკეთება შეიძლება და რის – არა“. ახლა უკვე დადგა დრო, ბავშვებს აუხსნათ, როგორ საქციელს ელით მათგან და როგორს – არა. აქ თქვენ წინაშე ჩნდება პრობლემა: როგორ მიაწოდოთ თქვენი თვალსაზრისი ისე, რომ ბავშვებმა უარი არ თქვან შესაბამისი მომენტების განსჯაზე. რა თქმა უნდა, ყოველთვის გინდათ, რომ მათ, სიძნელეების დასაძლევად და პრობლემების გადასაჭრელად, დახმარებისათვის თქვენ მოგმართონ.

– „მე ვერ შევძლებდი ჩემი, როგორც მშობლის ან აღმზრდელის, მოვალეობის შესრულებას, თუკი გაიძულებდით დაგეჯერებინათ, რომ ალკოჰოლის მიღება – ეს კარგია. ალკოჰოლის მიღება ცუდია. თქვენ ჯერ ძალზე ახალგაზრდები ხართ. მაგრამ მე ასევე ვერ შევძლებდი ჩემი, როგორც მშობლის ან აღმზრდელის, მოვალეობის შესრულებას, თუკი გაიძულებდით, გშინებოდათ ჩემთვის იმის გამხელა, რომ გრძნობთ მეგობართა ზეწოლას, რომლებიც გაიძულებენ იყოთ ისეთები, როგორიც ყველაა“.

■ წაახალისეთ დამოუკიდებელი აზროვნება.

– „სიტუაციაში, როცა მეგობრები შენზე ზეწოლას ახდენენ, ჰკითხე საკუთარ თავს, კანონიერია თუ არა ეს, სამართლიანია თუ არა, ზნეობრივია თუ არა. შემდეგ შენთვის გადაწყვიტე, გინდა თუ არა იყო ერთი იმათგანი, ვინც ასე იქცევა“.

როგორ არ უნდა ველაპარაკოთ:

■ *„მე არ მომწონს შენი მეგობრის გარეგნობა“.* მოზარდმა, შესაძლოა, ვერ აიტანოს თქვენი ცალსახა მსჯელობა ადამიანის შესახებ მხოლოდ მისი გარეგნობის მიხედვით. დაელაპარაკეთ ბავშვის მეგობარს და შეეცადეთ, უკეთ გაიცნოთ. თქვენ გაგიჩნდებათ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ან პირიქით, უარყოფს პირველ შთაბეჭდილებას.

■ *„რატომ არის შენთვის აუცილებელი იმის კეთება, რასაც ყველა დანარჩენი აკეთებს?“* ჩნდება რისკი, რომ თქვენ გაიმეოროთ ის, რასაც ყველა საუკუნეში ამბობდნენ მშობლები: *„შენი მეგობარი ფანჯრიდან რომ გადახტეს, შენ რა, უკან მიჰყვები?“* თქვენი მიზანი ხომ ისაა, რომ ბავშვმა გააცნობიეროს – შეუძლია დარჩეს მეგობრებთან ერთად, მაგრამ დამოუკიდებლად იაზროვნოს. ამგვარი კითხვებით კი თქვენ მხოლოდ ადანაშაულებთ და უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ ბავშვს.

■ *„შენ, რა, საკუთარი თავი არ გაბია?“* – გარდა იმისა, რომ ასეთი ნათქვამი ძალიან მკვეთრი და კრიტიკის შემცველია, პარადოქსულიც არის და ნიშნავს შემდეგს: *„თუ შენ ისე იქცევი, როგორც მე გეუბნები, მაშინ შენ საკუთარი თავი გაბია. მაგრამ თუ შენ ისე იქცევი, როგორც შენს მეგობრებს უნდათ, მაშინ შენ საკუთარი თავი არ გაბია.“*

■ *„ვიღაც-ვიღაცები შენი კლასიდან „პლანს“ ეწევიან? კისერი უტეხიათ, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს და, შენზე რომ მსგავსი რამ გავიგო, იმ დღეს სამუდამოდ დაგამახსოვრებ, იცოდე!“* მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულება და პოზიცია, არამედ ისიც, რომ ბავშვის ნდობა მოვიპოვოთ და მისთვის მისაწვდომი ვიყოთ.

თუ ბავშვი „დიდების“ ჟურნალებს ათვალიერებს

სერგის მისმა მეგობარმა დათომ დაურეკა და უთხრა:

– მაგარი ჟურნალი ჩავიგდე ხელში, მეზობელმა მათხოვა. ისეთი სექს-ფოტოებია, გააფრენ! მოვალ და დავათვალიეროთ, არ გინდა?

სერგი ძალიან დაინტერესდა. დათო მალევე მოვიდა და ბიჭები ისე გაერთნენ ჟურნალის თვალიერებით, რომ ვერც გაიგეს, როგორ დაადგათ თავზე სერგის დედა.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება:

10-12 წლის ასაკში „დიდების“ ჟურნალების მიმართ ინტერესი სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით ბიჭებისათვის. თქვენ, როგორც ბავშვის მშობელს ან აღმზრდელს, უფლება გაქვთ, ეს ჟურნალები სახლში იქონიოთ, მაგრამ ვერაფრით გააკონტროლებთ იმას, რომ ეს ჟურნალები ბავშვმა არ დაათვალიეროს.

პორნოგრაფიული ჟურნალების შინაარსი სხვადასხვა შეიძლება იყოს: ზოგი შიშველი სხეულების გამოსახულებებით შემოიფარგლება, ზოგში სქესობრივი აქტია გამოსახული. თუ ბავშვს ასეთი ჟურნალების თვალიერებისას შეუსწარით, ამ თემებზე მასთან აუცილებლად უნდა იმსჯელოთ.

შესაძლოა, თქვენ ისურვოთ ბავშვთან ერთად განიხილოთ, თუ რა განსხვავებაა ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის; რომ ეროტიკა ნორმალურ მოვლენად ითვლება, პორნოგრაფიულ მასალაში კი ადამიანები განიხილება, როგორც მხოლოდ სექსუალური ობიექტი, ანუ იქმნება სახიფათო განწყობა.

როგორ უნდა ველაპარაკოთ:

■ ბავშვი იფიქრებს, რომ მას ამის გამო უსიამოვნება არ ასცდება და გამოსავლის ან გამართლების ძიებაში აღარ მოგისმენთ. ამიტომ თავიდანვე შეუმსუბუქეთ მდგომარეობა და უთხარით, რომ გესმით მისი:

„ბევრ ბავშვს მოსწონს მსგავსი ჟურნალების დათვალიერება და მე მესმის შენი. სექსისადმი ცნობისმოყვარეობა – ეს ნორმალურია. მაგრამ მე შევამჩნიე, რომ შენ ამ ჟურნალის დამალვას ცდილობ. მე მგონია, რომ შენ უკვე მიხვდი – ამ ჟურნალებში რაღაც ცუდიც არის“.

■ თუ სახლში გაქვთ წიგნები ხელოვნების შესახებ, რომლებშიც შიშველი სხეულებია გამოსახული, უნდა **ასწავლოთ** ბავშვს, რომ თავისთავად სიშიშვლეში ცუდი და ბილწი არაფერია.

„ხელოვნების ზოგიერთ შედევრზე ადამიანები ტანსაცმლის გარეშე არიან გამოსახული. ადამიანის სხეული ძალიან ლამაზია. შენი ინტერესი სავსებით გასაგებია. მაგრამ პორნოჟურნალებში ფოტოები სხვა მიზნითაა გამოქვეყნებული. მათში ადამიანებს შორის სიყვარულის აქტის მხოლოდ სექსუალური მხარეა ნაჩვენები – მათში სიყვარული არ არის.“

■ *„მონობა ცუდია, რადგან მონებს უყურებენ არა როგორც ადამიანებს, არამედ როგორც ნივთებს, რომლებსაც მონათმფლობელები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად იყენებენ. პორნოგრაფია ასევე ცუდია, რადგან ფოტოებზე გამოსახულ ადამიანებს სხვები უყურებენ მხოლოდ, როგორც სექსუალურ ობიექტებს. წარმოიდგინე, რომ შენში ვიღაცას მარტო შენი სხეული და შენი გარეგნობა აინტერესებს, სხვა არაფერი. მაგრამ რა მოხდება, როცა ასაკი მოგემატება და შენი სხეული ასე მიმზიდველი აღარ იქნება?“*

■ *„შენ გყავს დედა და და. გინდა, რომ ადამიანებს არაფრად ადარდებდეთ ისინი და მხოლოდ თავიანთი ინტერესებისათვის იყენებდნენ მათ?“*

■ *„ზოგიერთ ფოტოზე ჰომოსექსუალური აქტია გამოსახული. შენ გაგიგონია სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი?“ ზოგიერთ ადამიანს ძალიან მოსწონს ისეთი ფოტოების თვალიერება, სადაც ასახულია სექსი მამაკაცსა და მამაკაცს ან ქალსა და ქალს შორის. მაგრამ სექსი სექსისათვის ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელია.“*

■ *„იმედი მაქვს, თუ კიდევ წააწყდები ასეთ ჟურნალს, გაგახსენდება, რა გელაპარაკე. ახლა კი მინდა ეს ჟურნალი გადავაგდო. არ მინდა, რომ ის ჩვენს სახლში იყოს“.*

როგორ არ უნდა ველაპარაკოთ:

■ *„სად ნახე ეს ნაგავი? შენი ფულით იყიდე თუ ვინმემ მოგცა?“* ახლა ბავშვმა იცის, რომ თქვენ ამას ვერ იტანთ, მაგრამ თქვენ ხელიდან გაუშვით შესაძლებლობა, აგეხსნათ ბავშვისთვის, რატომ არის ეს – „ნაგავი“.

■ *„ვერ ვიჯერებ, რომ შენ შეგიძლია ასეთი რამეები ათვალიერო! განა მე ასე გაგზარდე, ეს გასწავლე?“* სინამდვილეში ბავშვის ამგვარი ქცევა – ნორმალური ცნობისმოყვარეობაა. თქვენი აზრი ისე მიაწოდეთ, რომ მისთვის გასაგები იყოს.

■ *„თუ შენ ამ იდიოტობის თვალიერებას აპირებ, კეთილი ინებე და ეს ისე გააკეთე, რომ სახლში არ დავინახო“.* რა ღირებულებებს ასწავლით? ნებართვის მიცემით აჩვენებთ, რომ ამგვარი ჟურნალების კითხვას ნორმალურ ცნობისმოყვარეობად მიიჩნევთ, მაგრამ გავინყდებათ, რომ თქვენ, როგორც მშობელსა და აღმზრდელს, ბავშვში სათანადო ღირებულებების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებლობა გაკისრიათ.

■ *„რა საზიზღრობაა!“* რა არის საზიზღრობა? ფოტოზე აღბეჭდილი სქესობრივი აქტი თუ ის, რომ გამოსახულ აქტში სიყვარული გამორიცხულია? შესაძლოა, ბავშვს ამის გარკვევა და დაზუსტება მოუნდეს.

სახლიდან გაქცევა

ანანოს მშობლებს მისი მეგობრის, სალომეს დედამ დაურეკა. აღმოჩნდა, რომ ანანო მათთან სავსე ზურგჩანთით მივიდა და რამდენიმე დღით მათთან დარჩენის ნება ითხოვა. რატომ წამოვიდა სახლიდან? „მომბეზრდა, ყოველ ნაბიჯზე რომ მაკონტროლებენ“ – თქვა 13 წლის ანანომ.

გიორგი 11 წლისაა. მამამ მკაცრად გააფრთხილა, სკოლიდან კიდევ ერთ საყვედურს მეტყვიან შენზე და ჩემი ხელით მოგკლავო. არადა, იმ დღეს კლასში იჩხუბა და კარადის მინა ჩაამტვრია. სახლში მისულმა ნაჩქარევად ჩაალაგა ჩანთაში ტანსაცმელი, ცოტა საჭმელი და სახლიდან გავიდა.

ნიკო 15 წლისაა. სკოლიდან მოსულს ჩვეული სიტუაცია დახვდა: მამა მთვრალი იყო და დედას ეჩხუბოდა. „დედას ვერ ვიცავ, ვერაფრით ვეხმარები. ეს ისე ძალიან მტანჯავს, რომ ატანა აღარ შემიძლია“ – გაიფიქრა ნიკომ, შეუმჩნევლად გამოიხურა სახლის კარი და ქუჩას გაუყვა.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება:

ყოველთვის ჯობია, თავი დაიზღვიოთ. გაქცევა – ეს იმის მანიშნებელია, რომ თქვენს ბავშვს ძლიერ აწუხებს რაღაც.

სახლიდან გაქცეული ბავშვების დიდი ნაწილი მეგობრებთან ან ნათესავებთან ჩერდება.

უმცროსი ასაკის ბავშვები, რომლებიც უბრალოდ იმიტომ გარბიან, რომ მშობლებზე ან აღმზრდელებზე არიან გაბრაზებულები, უნდა გავაფრთხილოთ ამგვარი გაქცევის საშიშროების შესახებ.

ბევრი ბავშვისათვის სახლიდან გაქცევის მიზეზი, პირველ რიგში, არის შეურაცხყოფა როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური. მეორე ადგილზე მყოფ მიზეზთა რიცხვს მიეკუთვნება მშობლებთან, აღმზრდელებთან ურთიერთობის უუნარობა, ქაოსი საოჯახო გარემოში, აგრეთვე სურვილი, გაყვეს მეგობარს, რომელმაც სახლიდან გაქცევა გადაწყვიტა.

როგორ უნდა ველაპარაკოთ:

■ ასწავლეთ: იმისათვის, რომ ბავშვებს აუხსნათ, რა სერიოზული და სახიფათო შედეგები შეიძლება მოჰყვეს სახლიდან გაქცევას, შეგიძლიათ გამოიყენოთ ახალი ამბების შესაბამისი შეტყობინებები (ნუ შეგეშინდებათ, რომ თქვენ, შესაძლოა, ბავშვისთვის იმის მოყოლა მოგიხდეთ, რასაც ის ვერასოდეს მოისმენდა). *„ბავშვების უმრავლესობა სახლიდან არ გარბის; და თუ ისინი ამას აკეთებენ, უმეტესწილად იმიტომ, რომ სახლში მათ სერიოზული პრობლემები აქვთ ან ბავშვს არ სჯერა, რომ მშობლებთან ან აღმზრდელებთან გარკვეული მომენტების შესახებ შეუძლია საუბარი. მე მინდა, რომ შენ იცოდე – ყოველთვის შეგიძლია გამიზიარო შენი აზრები. აგრეთვე მინდა გითხრა, რომ სახლიდან გაქცევა ძალიან სახიფათოა.“*

■ თუ თქვენი ბავშვი იმუქრება, რომ სახლიდან გაიქცევა, გამოძებნეთ დრო, რათა დაფიქრდეთ – რა შეიძლება ედოს საფუძვლად მის ამ სურვილს. *„მიუხედავად ჩემი აკრძალვისა, საღამოს შენ მაინც გახვედი სახლიდან. დასჯის მიზნით აგიკრძალე დღეს გარეთ გასვლა. ახლა იმუქრები, რომ სახლიდან გაიქცევი. მგონია, რომ რაღაც გაღელვებს. მოდი, ვილაპარაკოთ ამის შესახებ“.*

■ თუ ბავშვი გემუქრებათ, რომ სახლიდან გაიქცევა, ნუ შეგეშინდებათ. გამოიყენეთ პრინციპი: „რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა“. *„თუ შევიტყობ, რომ სახლიდან გაიქეცი, პოლიციაში დავრეკავ. გარდა ამისა, შენს საპოვნელად, პოლიციასთან ერთად, დაველაპარაკები ყველა შენს მეგობარსა და მათ მშობლებს“.*

■ თუ ბავშვი სახლიდან გაქცევით გემუქრებათ, მუქარის ასრულების შესაძლებლობაში გარწმუნებთ და თქვენით მანიპულირებას ცდილობს, ნუ გადაზრდით თქვენს საუბარს კონფლიქტში. გამოიყენეთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: *„და მაინც“, „მაგრამ“, „მიუხედავად ამისა“, „იქნებ“,* რომლებიც საუბრის არსიდან არ გადაგახვევინებენ: *„მიუხედავად იმისა, რომ შენ ბრაზობ ჩემზე, რახან ინტერნეტკაფეში არ გაგიშვი, მე პოლიციაში დავრეკავ, თუკი შენ სახლიდან გაქცევას დააპირებ“.* ან: *„მიუხედავად შენი პრობლემებისა, მე მაინც დავუკავშირდები შენს მეგობრებს, მათ მშობლებსა და აღმზრდელებს, რათა შენს მოძებნაში დამეხმარონ, თუკი გაიქცევი. ჩვენ შენი პრობლემების მოგვარება სახლიდან გაქცევის გარეშე შეგვიძლია.“*

■ *„მითხარი, რომელ პრობლემას გადაჭრი სახლიდან გაქცევით. გაქცევა – ეს მხოლოდ პრობლემისაგან გაქცევის მცდელობა იქნება. მე ვიცი, როცა ყველაფერზე კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რატომაა გაქცევა საშიში“.*

■ თუ ბავშვი მუდმივად იმუქრება სახლიდან გაქცევით, ამას სერიოზულად მოეკიდეთ: თანაუგრძნეთ, როცა საჭიროა: *„შენ მამინაცვალს ეჩხუბე და ამიტომ სახლიდან გაქცევა გინდა. წარმომიდგენია, რა ძნელია შენთვის მასთან ურთიერთობა. მოდი, იმაზე ვისაუბროთ, რა შეიძლება დაგეხმაროთ ერთმანეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში“.*

როგორ არ უნდა ველაპარაკოთ:

■ *„გაიქეცი, თუ გინდა. ხომ მაინც დაბრუნდები“.* შეიძლება ბავშვი მართლაც დაბრუნდეს, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებაში ძალზე ბევრი რამაა სახიფათო იმისათვის, რომ ასე არ გარისკოთ.

■ *„და ამის გამო აპირებ გაქცევას? რა სისულელეა“.* თქვენ ყურადღების მიღმა გრჩებათ მთავარი: თქვენი ბავშვი, როგორც ჩანს, თავის მიზეზს საკმაოდ სერიოზულად მიიჩნევს. აჯობებს, ყური დაუგდოთ იმას, რაც ბავშვს აშფოთებს და მისკენ შესაბამისი ნაბიჯები გადადგათ.

■ *„შენ ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ, თუ გგონია, რომ საკუთარი პრობლემებისაგან ასე უბრალოდ შეიძლება გაქცევა“.* ბავშვის პიროვნებაზე თავდასხმით თქვენ მხოლოდ გააძლიერებთ მის წყენას. გააკრიტიკეთ საქციელი და არა ადამიანი, როგორც ასეთი.

თუ ბავშვი სახლიდან ფიზიკური დასჯის, სიტყვიერი შეურაცხყოფის ან სექსუალური დევნის გამო გარბის, ამ ქმედებათა აღსაკვეთად დაუყოვნებლივ უნდა გადადგათ ნაბიჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახლიდან გაქცევის ალბათობა ძალიან მაღალი იქნება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იუბილე

„აქ ჩვენი ბავშვობა დადის“

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი არსებობის 55 წელს ითვლის. დაარსების დღიდან აქ სულ ბავშვების ჟრიამულია. პედაგოგიური კოლექტივი და დირექტორი **თამარ ჯაბადარი** ძალისხმევას და ენერგიას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური თვალსაწიერის ჩამოყალიბებას. აქ მუშაობს საბავშვო თეატრი, ხატვის, ინგლისური ენის, გიტარის, საერთაშორისო ურთიერთობების, დიზაინერთა, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული წრეები. აქაური მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. არასამთავრობო ორგანიზაცია „სპექტრთან“ (თავმჯდომარე – **სოფიო მანძულაშვილი**) თანამშრომლობით არაერთი პროექტი განხორციელდა. კერძოდ, მათ წარადგინეს განაცხადი „მშვიდობის კორპუსის“ საქართველოს წარმომადგენლობაში, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა და 2006–2008 წლებში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მათთან მუშაობდა „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე **რებეკა მადდენსტარჯესი**. ეს მეტად საინტერესო და ნაყოფიერი პერიოდი იყო, რადგან ინგლისური ენის გაძლიერების მიზნით თემში ბევრი სიახლე დაინერგა. სასახლეს გადმოეცა ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა, რომელსაც საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს როგორც მოსწავლეები, ასევე პედაგოგები.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები და აღსაზრდელები, 2007-2008 წლებში, მონაწილეობდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტში: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: აბა დღეს მე ვის რა ვარგე?!“ კოლექტივის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ქვეყანაში მომხდარი არც ერთი მოვლენა, მათ შორის, არც 2008 წლის აგვისტო; მოსწავლეებსა და დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთ მოჰქონდათ შემოწირულობა: ტანსაცმელი, საკვები და პირველადი დახმარების ნივთები. შემოქმედებითი წრის მოსწავლეები მონაწილეობდნენ საქველმოქმედო კონცერტებსა და აქციებში, რომლებიც იძულებით გადაადგილებულთათვის ტარდებოდა. მოსწავლეთა რაიონული თვითმმართველობის აქტივისტები დღესაც ჩართულნი არიან „წითელი ჯვრის“ საგარეჯოს წარმომადგენლობის მიერ განხორციელებულ პროექტებში.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ყოველწლიურად, მონაწილეობს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებსაც საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ატარებს. განსაკუთრებით აღსანიშნავი გასული წლის შედეგები იყო: 62 პირველი ხარისხის, 123 მეორე ხარისხის დიპლომი, 48 სიგელი და ამდენივე პედაგოგის მადლობა დაიმსახურეს. ასევე აღსანიშნავია ლიტერატურული სალონის მუშაობა – გასულ წელს კავშირი „ახალი ხელოვნების“ მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსზე „ალუბლობა 2009“ 10 საუკეთესო ნამუშევარი გააგზავნეს, რომელთაგან 4 დაჯილდოვდა დიპლომით (**ანი მოსიაშვილი** და **მაკა მარტიაშვილი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა; **ეთერ ივანელაშვილი** – № 2 საჯარო სკოლა; **გიორგი ქოქიაური** – № 3 საჯარო სკოლა). გასული სასწავლო წელი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა წრეებისა და საჯარო სკოლების შემოქმედებითმა კოლექტივებმა მონაწილეობა მიიღეს ფონდ „კეთილი ნების დესპანისა“ და თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ფესტივალებსა და გამოფენებში, საიდანაც ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ – I ხარისხის დიპლომები და ხატები გადაეცათ საჩუქრად. ასევე გაერთიანება „ფორტუნას“ (პრეზიდენტი – **ცაია ყიფიანი**) მიერ ორგანიზებულ ბავშვთა საესტრადო სიმღერების კონკურსში „მხიარული ნოტები“ საგარეჯოელმა მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა: **მაგდა ივანიშვილმა** (პედაგოგი – **ნანა გოგიშვილი**) უმცროს ასაკში მეორე ადგილი დაიკავა და II ხარისხის დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა, ამავე კონკურსის დიპლომანტი გახდა **სალომე ჯაბადარიც** (პედაგოგი – **მარინა ურდულაშვილი**). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მაგდა ივანიშვილი სატელევიზიო პროექტ „ანა-ბანას“ 2008 წლის და საბავშვო ევროვიზიის 2009 წლის შესარჩევი ტურის მონაწილეა.

სხვადასხვა წლებში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრი მონაწილეობდა საბავშვო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებებში, მათი 2 სპექტაკლი – „კონკია“ და „ჭინჭრაქა“ ამ რამდენიმე წლის წინ ჩაიწერა და გადაიცა საქართველოს ტელევიზიის I არხის საბავშვო გადაცემათა რედაქციის მიერ.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ასევე აქტიურად თანამშრომლობს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრთან, რომლის მიერ ორგანიზებულ ფოლკლორულ და საესტრადო სიმღერების ფესტივალებზე I ადგილი და შესაბამისად, I ხარისხის დიპლომები მოიპოვეს: **სალომე ქოქიაურმა** (სატელევიზიო პროექტ „12 მტრედის“ და „ხმა საქართველოდან“ დიპლომანტი, საბავშვო ევროვიზიის 2007 წლის შესარჩევი ტურის მონაწილე), **სოფო ამირაჯიბმა**, **გიორგი თედიაშვილმა** („12 მტრედის“ მონაწილე), **მარი დარბაისელმა** („12 მტრედის“ მონაწილე), **მარი აზარიაშვილმა** („12 მტრედის“ დიპლომანტი), **სალომე ჯაბადარმა** და **ლანა სულიკაშვილმა**.

არაერთხელ უსახელებიათ თავი მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელებს რაიონულ და რეგიონულ ინტელექტუალურ თამაშებში და პრიზიორებიც გამხდარან. 2009 წლის დეკემბრის დასაწყისში გურჯაანში გაიმართა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა და მხატვრული კითხვის კონკურსი, რომელშიც რაიონის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა, გიორგიწმინდის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე **გვანცა მეკოშკიშვილი** სამახსოვრო პრიზით დაჯილდოვდა.

მოსწავლეთა სახლის პედაგოგებმა და აღსაზრდელებმა, 2009 წლის შემოდგომაზე, გიორგი ლეონიძის 110 წლის იუბილეს ღონისძიებათა კომპლექსი მიუძღვნეს: მხატვრული კითხვა 2 ასაკობრივ ჯგუფში, „ფუფალას“ თეატრალიზებული სახე და თემატური კონფერენცია, რომელშიც, წრეების წევრების გარდა, მონაწილეობდნენ: საგარეჯოს №1, № 2. № 4, უდაბნოს, ყანდაურის, ნინოწმინდის, ხაშმის, დიდი ჩაილურის, პატარა ჩაილურის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები.

გასული წლის ბოლოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიხსნა და 2010 წლის 14 იანვრამდე გასტანა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლის, **მახარე მახარიკაშვილის** ნახატების პერსონალურმა გამოფენამ. რაიონმა კიდევ ერთი ნიჭიერი ჭაბუკი გაიცნო. მას შემოქმედებითი გზა დაუღოცეს: გარეჯელმა მხატვრებმა – **ნინო ჯანგულაშვილმა** და **თამარ იორამაშვილმა**, მოქანდაკე **იურა ასლამაზიშვილმა**.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოლექტივი ამაყობს თავისი აღზრდილებით: **მიხეილ ფეიქრიშვილი** – რადიო „იმედის“ ჟურნალისტი, **ნინო სამყურაშვილი** – ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი, **გიორგი** და **პაატა ქვლივიძეები**, **სიმონ ბერიაშვილი** – პროფესიონალი მსახიობები, **მარინა აზარიაშვილი** – ჟურნალისტი, ამჟამად საზღვარგარეთ მოღვაწეობს, **ეკა შაქარაშვილი** – ასევე საზღვარგარეთ იმყოფება, **ნინო ნანუაშვილი** და **თეა გურგენიძე** – საგარეჯოს რაიონში აზებაიჯანული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები არიან; ამაყობს დღევანდელი მოსწავლეთა თვითმმართველობითაც: **ანი მოსიაშვილი, ნინო კავთელიშვილი** (საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა), **ანი ჯაბადარი, მარი** და **მაგდა ხვთისავრიშვილები** (საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა), **ნინო** და **სალომე ძმანაშვილები** (საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლა), **მარი გოგიშვილი, გვანცა მეკოშკიშვილი, გიორგი კაბულაშვილი** (გიორგიწმინდის საჯარო სკოლა), **გიორგი ხარატიძე** (ნინოწმინდის საჯარო სკოლა), **ქეთი ოთიაშვილი, ტატო ყირმელაშვილი** (ხაშმის საჯარო სკოლა), **ქეთევან** და **ნინო ვეშაპიძეები** (დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა) და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ახალგაზრდა გაიზრდება ამ პატარა შენობის კედლებში. საამაყოა, რომ აქ უმოღვაწია ბატონ **რობერტ ბარძიმაშვილს**, რომლის აღზრდილებიც არიან ჯეოსტარეული **ირინა ბაირამაშვილი**, „ბარძიმის ბიჭების“ მომღერლები: ჯეოსტარეული **გიორგი ცხვარიაშვილი** და **ზაზა ჭინჭარაული**... ბევრი სტუმარიც ჰყოლიათ: მწერალ **რევაზ ინანიშვილის** ოჯახი, პოეტი **თეიმურაზ ჯანგულაშვილი**, მხატვრები: **ნინო ჯანგულაშვილი**, **გურამ ღლონტი** – გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი მხატვარი, **რევაზ კეჭაყმაძე**, **ზაურ დეისაძე** და სხვები. აქ განიხილება თანამემამულე ავტორთა ახალი წიგნები.

ასევე საინტერესოდ დაიწყო 2010 წელიც. ამ პატარა დარბაზში ძალიან ლამაზი ნაძვის ხე მოირთო. 7 იანვარს ყველაზე პატარებისათვის გაიმართა საშობაო წარმოდგენა „იყო და არა იყო რა“, ხოლო 14 იანვარს, ძველით ახალ წელს და ქართული თეატრის დღეს, აქ დიდი ხალხმრავლობა იყო – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ღონისძიებაში წარმატებულ ახალგაზრდებთან ერთად საგარეჯოს სახალხო თეატრისა და თოჯინების სახალხო თეატრის მსახიობები: **თინათინ მეზვრიშვილი, მარინა შიოშვილი, ნათელა დიღმელაშვილი, ბადრი დრეიძე, პაატა ქვლივიძე, მიხეილ ხოკერაშვილი** სტუმრობდნენ. ასევე სტუმრად იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: **არჩილ ჯაბადარი, ქეთევან გილაშვილი**, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურიდან: **ლია კოხტაშვილი** და **ნაზი არჩუაძე**, კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი **ბესიკ ღვინაშვილი**. ღონისძიებებისათვის სცენარი დაწერეს საბავშვო თეატრის ხელმძღვანელმა **ირინე დრეიძემ** და კოორდინატორმა **ნარგიზ ნადირაშვილმა**, მხატვრობა **ჯემალ მახარიკაშვილს** ეკუთვნოდა, კოსტიუმების დიზაინი – **ირინე თულაშვილს**, მუსიკალური გაფორმება – **მარინა ურდულაშვილს**, თავის აღსაზრდელებთან ერთად. სახალხო თეატრის მსახიობებმა კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს რაიონის ახალგაზრდებს და წარმატებული საქმიანობისათვის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

ამ პატარა სახლის ბინადრები მადლიერნი არიან მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი **გია ჩალათაშვილის**, დეპუტატის, ბატონი **ზაზა გულიკაშვილის**, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების გაერთიანების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირების, ვინც გვერდში უდგას რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, რომელსაც საგარეჯოელმა ექიმმა, პოეტმა **მანანა ბურდულმა** ასეთი სტრიქონები უძღვნა:

„შეჩერდით... ეს ჩვენი სახლია,
ამაყი დღეით და ხვალით...
აქ ჩვენი სულები ანთია
და ჩვენი ბავშვობა დადის.“

ლეილა არჩემაშვილი

სპორტის გაკვეთილები ფიზკულტურის ნაცვლად

ფიზკულტურის გაკვეთილები რომ სპორტის გაკვეთილებით შეიცვლება, ეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის მეორე ეტაპის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად უკვე დასახელდა. რა ფორმით მოხდება სკოლებში სპორტის გაკვეთილების დანერგვა ისე, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც სკოლის, ისე თითოეული მოსწავლის სურვილი და შესაძლებლობა, ამ და სხვა დეტალებზე მსჯელობისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოეწყო იმ უწყებების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან ამ პროცესში. ბუნებრივია, ცვლილების განხოცრიელებას, პირველ რიგში, ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადება სჭირდება, შემდეგ კი სკოლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში არსებული 2179 საჯარო სკოლიდან სპორტული დარბაზი 1569 სკოლას, ხოლო მოედანი 2015 სკოლას აქვს. მიუხედავად ამ სტატისტიკისა, ფიზკულტურის გაკვეთილები მაინც არაპოპულარულია. სწორედ ეს დასახელდა ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლების მიზეზად. შეხვედრის მონაწილე უწყებები: კულტურისა ძელთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციები იმუშავებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნაზე და უახლოეს მომავალში – აპრილსა და მაისში – მათ მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა, სავარაუდოდ, 50-მდე საჯარო სკოლაში პილოტურ რეჟიმში გამოიცდება.

გთავაზობთ შეხვედრის მონაწილე უწყებების ხელმძღვანელთა კომენტარებს ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლის დეტალების შესახებ:

დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნირების მინისტრი: *„დღეს შევხვდით სამუშაო ჯგუფს, რომელიც მოამზადებს ამ კონკრეტული საგნის პროგრამას. როგორც იცით, სექტემბრიდან ფიზკულტურის გაკვეთილებს შეცვლის სპორტის გაკვეთილები. რას გვაძლევს ეს? ეს არის ჩვენი და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროების რესურსის გაერთიანება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ჩვენმა მოსწავლეებმა უკეთესად აითვისონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით. კონკრეტულ სპორტის სახეობას სკოლა თავად აირჩევს, საკუთარი შესაძლებლობებისა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას შევთავაზებთ ასარჩევად რამდენიმე სახეობას, რათა ყველა ბავშვის ინტერესი დავაკმაყოფილოთ. გარდა ამისა, სექტემბრიდან შეიქმნება ახალი სასკოლო ლიგები, რათა ოლიმპიური გზით მივაღწიოთ ყველაზე მთავარს – ბავშვებში დავამკვიდროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს სპორტულ ბაზებს დაემატება, საჭიროების მიხედვით შექმნილი, ახალი ბაზა შესაბამისი ინფრასტრუქტურით.“*

ნიკოლოზ რურუა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი: *„საუბარია ეგრეთ წოდებული ფიზკულტურის გაკვეთილის, როგორც არაფრისმომტანი გადმონაშთის შეცვლაზე ეფექტური ინსტრუმენტით. ჩვენი დახმარებით ყველა სკოლას მივცემთ საშუალებას, რომ აირჩიონ ერთი კონკრეტული სახეობა, იმ ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით რაც მათ აქვთ და ყველანაირად შევუწყობთ ხელს, რომ ფიზკულტურის გაკვეთილები შეიცვალოს რომელიმე სერიოზული სპორტული სექციით, ანუ რეალურად ქმედუნარიანი გახდეს ფიზიკური მომზადება, რაც, ერთი მხრივ, შექმნის ფიზიკურად ჯანსაღ გარემოს და, მეორე მხრივ, ყველანაირ ასოციალურ ქმედებას, რაც თან ახლავს სკოლას, მინიმუმამდე დაიყვანს. ბუნებრივია, ყველა ადამიანს აქვს შეჯიბრის, კონკურენციის, ასევე ენერგიის დახარჯვის სურვილი, რისი საშუალებაც მაქსიმალურად სასურველ პირობებში და სასარგებლო სიტუაციაში უნდა მიეცეთ. სპორტული სექციები ბავშვს თანატოლებთან ჯანსაღი შეჯიბრის საშუალებას მისცემს, ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის გადადგმული ძალიან სერიოზული ნაბიჯი იქნება . ეს ინიციატივა დროული და აუცილებელია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე სპორტული ფედერაციების პრეზიდენტებს, რომლებიც ამ მნიშვნელოვან ინიციატივაში მიიღებენ მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, ეს ხელს შეუწყობს სპორტის იმ სახეობების განვითარებას, რომლებშიც უკვე გვაქვს ისტორია, მიღწევები და ინფრასტრუქტურა, ანუ სკოლებში სწორედ ტრადიციული სპორტის სახეობები შევა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არასერიოზული იქნება იმ სახეობებზე საუბარი, რომლებშიც გამოცდილება არ გვაქვს.“*

დავით ნამგალაური, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე: *„პირველ რიგში, ეს ინიციატივა კარგია იმის გამო, რომ ეს გაკვეთილი აღარ იქნება მხოლოდ ქაღალდზე, ანუ ფორმალური გაკვეთილი, ისე, როგორც ადრე იყო. კარგი დასასვენებელი პერიოდი, რომელიც ჩვენს დროს ფიზკულტურის გაკვეთილები იყო, დღეს იცვლება სპორტის გაკვეთილებით, სურვილის და მოთხოვნების შესაბამისად. გვექნება როგორც სპეციალიზებული სკოლები, ისე სკოლებში არჩევითი სახეობები. რასაკვირველია, ამას შესაბამისი ინფრასტრუქტურა სჭირდება. ბუნებრივია, ეს სპორტული ფედერაციებისთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც აქ ბევრი სხვადასხვა სახეობის პროფესიონალი კადრი დაკავდება და, რაც ყველაზე მთავარია, თითოეული სახეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. სამწუხაროა, რომ დღეს სკოლების უმეტესობას ფიზკულტურის მასწავლებლებად არაკვალიფიციური კადრები ჰყავს, ამიტომ შესაძლოა, კადრების ცვლილებებიც განხორციელდეს“.*

რა ბედი ეწევათ დღევანდელ ფიზკულტურის მასწავლებლებს, ამ კითხვაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა: *„ფიზკულტურის მასწავლებლებს ჩავუტარებთ ტრენინგს, რათა მათ გააგრძელონ მუშაობა შემდგომში სპორტის სახეობების მასწავლებლებად, ხოლო სახეობები და მათი რაოდენობა სკოლებში მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იქნება არჩეული. სწავლება კი, ბუნებრივია, წარიმართება იმ სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელსაც ეს ჯგუფი შეიმუშავებს“.*

ლალი ჯელაძე

შეხვედრა ჟურნალისტებთან

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **დიმიტრი შაშკინმა** ჟურნალისტებს ბაზალეთის ტურისტულ კომპლექსში ორდღიანი გასვლითი სემინარი მოუწყო. სემინარის მთავარი მიზანი მათთვის, 2010-2011 წლებში, ზოგად განათლებაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობა იყო.

მინისტრმა ვრცლად ისაუბრა სამინისტროს მიზნებზე და მომდევნო ორი წლის განმავლობაში განსახორციელებელ ინიციატივებზე.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ჟურნალისტებმა ყველა კითხვაზე პასუხი პირადად განათლებისა და მეცნიერების მინისტრისგან მოისმინეს.

ღონისძიების ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელებმა: **მაია მიმინოშვილმა, ნათია ჯოხაძემ** და **სოფო გორგოძემ** ჟურნალისტებს თავიანთ საქმიანობასა და მომავალ გეგმებზე პრეზენტაციები გააცნეს, ასევე უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

შეხვედრა ორგანიზებული იყო გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა განათლების რეფორმის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას, ამ რეფორმების საჯაროდ განხილვის გზით.

სპორტი

ქართული ცეცხლი ესტონურ ყინულზე

23 იანვარი გამორჩეულ თარიღად შევა ქართული სპორტის ისტორიაში. შაბათს, ტალინის „საკუ სუურჰოლის“ დარბაზში, 20 წლის მოციგურავე **ელენე გედევანიშვილმა** ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა. ეს ციგურაობაში კონტინენტის პირველობაზე მოპოვებული პირველი ქართული მედალია და ამდენად, ისტორიულიც.

გედევანიშვილმა ამ დიდ წარმატებას საფუძველი მოკლე პროგრამის შემდეგ ჩაუყარა, სადაც მშვენივრად ისრიალა და მეოთხე შედეგითაც დაამთავრა. ეს შედეგი თავისთავად წარმატება იყო, მაგრამ ამით შვეიცარიელი ორგზის ევროპის ვიცე-ჩემპიონი **სარა მაიერიც** ჩამოიტოვა უკან, რაც არანაკლები მიღწევაა. მოკლე პროგრამა ყოველთვის მისი „კოზირი“ იყო, თავისუფალი კი მუდამ უჭირდა. ამიტომ დასკვნითი სტარტის წინ გარკვეული შიში ჩნდებოდა, შეინარჩუნებდა თუ არა მოპოვებულ წარმატებას. შენარჩუნების შემთხვევაში, კარიერის საუკეთესო შედეგს მიაღწევდა – ორი წლის წინ ლიონში, ევროპის პირველობაზე მეხუთე იყო.

თავისუფალი პროგრამა ელენემ ჯორჯ ბიზეს „კარმენის“ ჰანგებზე იცეკვა. როგორც მოგვიანებით განაცხადა, ეს მისთვის საოცნებო მუსიკა ყოფილა, საამისოდ კი ორი მიზეზი ჰქონია – თურმე კარგად ერგება მის ხასიათს და ამ მუსიკაზე ოდესღაც მისი კუმირი, გერმანელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კატარინა ვიტი** ცეკვავდა.

გედევანიშვილს ცოტა არ გაუმართლა, რადგან უძლიერესთა ჯგუფში პირველი ცეკვავდა. ეტყობა, თავიდან ცოტას ღელავდა და, ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ პატარ-პატარა შეცდომები დაუშვა, მაგრამ, მთლიანობაში, ნახტომები მაინც მაღალ დონეზე შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ შესრულებაში მხოლოდ მან მიიღო 50 ქულაზე მეტი – 50,20. მთლიანობაში, გედევანიშვილმა ფურორი მოახდინა და თავისუფალი პროგრამაც უნაკლოდ შეასრულა, რითაც ამ დისციპლინაში საკუთარი რეკორდი დაამყარა – 103, 66, რაც შაბათს ტალინის ყინულზე მეორე შედეგი აღმოჩნდა. მას მხოლოდ ლეგენდარულმა იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა** გაუსწრო. თუმცა, ეს ცოტა გვიან იყო, მანამდე კი ელენემ 164,54 დააგროვა და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მაგრამ ამით მხოლოდ დასკვნითი ნაწილი, ანუ უძლიერესთა შერკინება დაიწყო, მთავარი მეტოქეები კი ჯერ კიდევ თავის რიგს ელოდნენ. არადა, კონკურენტები ისეთები იყვნენ, 20 წლის გოგოს კი არა, ბევრად გამოცდილ ოსტატებსაც შეაშინებდნენ – იგივე კოსტნერი, ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, ფინელი **ლაურა ლეპისტო** და მისი თანამემამულე, ევროპის პრიზიორი **კიირა კორპი**. იყო ახალგაზრდა რუსი **ალენა ლეონოვაც**, მაგრამ მისი შანსები იმთავითვე სუსტი ჩანდა.

ლეპისტომ გედევანიშვილი მეორე ადგილამდე ჩამოაქვეითა. მაგრამ პირველობა დიდხანს არც მას შერჩა – ყინულზე კოსტნერი გამობრწყინდა და ფინელიც მეორე ადგილზე ჩაასრიალა. აღსანიშავია, რომ მათ ერთმანეთში შარშანდელი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი – მაშინ ლეპისტომ „ცხვირწინ ააცალა“ ჩემპიონობა იტალიელს, რასაც „გავეშებულმა“ კოსტნერმა ღირსეული რევანშით უპასუხა და კონკურენტი 7 ქულით ჩამოიტოვა. მან მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, რითაც მოქმედ მოციგურავეთა შორის რეკორდსმენი გახდა.

შეიძლება ითქვას, ამ ორის წარმატებას ველოდებოდით კიდეც – ისინი იმდენად ძლიერები არიან, ასეთ გადამწყვეტ მომენტში მათგან ჩავარდნა გამორიცხული იყო. ასევე ველოდებოდით ლეონოვას მარცხსაც – დღეს რუსული საციგურაო სკოლა კრიზისშია და ლეონოვა იმ დონის ვარსკვლავი არაა, უფსკრულიდან ამოათრიოს. მან მართლაც ბევრი შეცდომა დაუშვა და არათუ ქართველ მოციგურავეს ჩამორჩა, ვეღარც მეხუთე ადგილი შეინარჩუნა და მეშვიდეზე გავიდა. ამის შემდეგ მთელი ჩვენი იმედები კორპის ხელში აღმოჩნდა – ბრინჯაოს მხოლოდ მისი წარუმატებლობის შემთხვევაში თუ მოვიპოვებდით. კიირა კორპი ყველა ტურნირზე მაყურებლის დიდი ინტერესის საგანია, მაგრამ უფრო უზადო გარეგნობის ხარჯზე, ვიდრე შედეგებით. ჩვენდა საბედნიეროდ, „მოლიპულ ტალინში“ მასაც დაუცდა ფეხი და ერთხელ დაეცა კიდეც, რამაც ბრინჯაოს მედალი და უზომო სიხარული მოუტანა გედევანიშვილს.

ელენე გედევანიშვილმა, პირველად, 2006 წელს ტურინის ოლიმპიადაზე გაიბრწყინა, სადაც მოკლე პროგრამის შემდეგ ხუთეულშიც კი იყო, მაგრამ საბოლოოდ მეათეზე გავიდა. მაშინ მოსკოვში ვარჯიშობდა, სადაც მშობლებმა და აქაურმა ფედერაციამ მას შემდეგ გააგზავნეს, რაც ყველა დარწმუნდა, თბილისის საციგურაო სკოლა მისი ნიჭისთვის აშკარად პატარა იყო. მას ბევრად დიდი არენა სჭირდებოდა და მოსკოვში გაამგზავრეს, სადაც მისი ნიჭი ასევე მალე შეამჩნიეს და მოქალაქეობის მოღება მოსთხოვეს. გედევანიშვილებმა რუსული პასპორტი ინანეს, რისთვისაც, სულ მალე, ათასობით ქართველთან ერთად, მოხვიეს ხელი და ამ ორი წლის წინ მოსკოვში ატეხილი ქსენოფობიის დროს მთელი ოჯახი სატვირთო თვითმფრინავით გამოუშვეს საქართველოში. ნიჭიერი ტალანტის ბედზე აქ ყველამ იზრუნა – ხელისუფლებამ, ფედერაციამ, სპორტის მმართველმა სტრუქტურებმა და ელენე სულ მალე ამერიკაში გაუშვეს სავარჯიშოდ. ირემმა ირემს ურქინა და საბალახოზე გააგდო, ელენესაც ისე მოუვიდა – რუსული საციგურაო სკოლა იმდენად მძიმე კრიზისშია, ტალინში იქაურ ქალებს ხუთეულიც სანატრელი გაუხდათ, ამერიკული სკოლა კი კვლავაც მოწინავედ რჩება. ეს გედევანიშვილის შედეგებსაც უმალ დაეტყო.

ახლა ელენეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ტურნირი ელოდება – თებერვალში კანადურ ვანკუვერში ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს.

ევროპული დელეგაცია თბილისში

შაბათს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში, ოლიმპიურ თემატიკაზე ჩატარებული ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი**, ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტი **პატრიკ ჰიკი** (პარალელურად, ირლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიცაა), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, საქართველოში სტუმრად მყოფი ევროპის 11 ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტთა ხელმძღვანელები.

ეს კონკურსი შარშან გამოცხადდა, ქვეყნის მასშტაბით, და მასში მონაწილეობა ყველას შეეძლო. ჟიურიმ გამარჯვებულებად თბილისის 51-ე საჯარო სკოლის X-კლასელი **ანანო გაბელაია**, ასევე თბილისის 106-ე სკოლის XII-კლასელი **ნიკო სარალიძე** და ადიგენის რაიონის სოფელ არლის სკოლის III-კლასელი **ნიკა ტატალაშვილი** დაასახელა. სიგელებთან ერთად, გამარჯვებულები პორტატული კომპიუტერებითაც დააჯილდოვეს. სიგელები გადაეცათ **ევა ბოლქვაძეს** (თბილისის 51-ე სკოლა), **ლუკა ხაფავას** (ზუგდიდის რაიონის სოფელი რუხი) და **გიორგი ცუხიშვილს** (საჩხერის რაიონის სოფელი ჩიხა). სიგელებით დაჯილდოვდნენ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის, არლისა და რუხის სკოლების ლიტერატურული ჯგუფები, აგრეთვე პედაგოგები – **ნანა გოზალიშვილი** (ვალე) და **მანანა ნებიერიძე** (თბილისის 51-ე სკოლა).

ეს დაჯილდოება საგანგებოდ დაამთხვიეს პატრი ჰიკის თბილისში სტუმრობას, რაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 20-წლიან იუბილეს დაემთხვა. თუმცა ჰიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ეოკ-თა 25-კაციანი დელეგაციის ჩამოსვლას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – თბილისი წარდგენილია ევროპის

2015 წლის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლად და ეს ვიზიტიც წინასაარჩევნო მარათონის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ თამაშებში 14-18 წლის მოზარდები მონაწილეობენ, თბილისის კონკურენტი კი ჩეხური ბრნოა. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა ხაზი გაუსვა როგორც სპორტის როლს მომავალი თაობის სწორად აღზრდის საქმეში, ასევე ამ ფესტივალის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მისი ჩატარება ქვეყნის საერთო საქმედ იქცევა და დიდი საჩუქარი იქნება ქართველი მოზარდებისთვის.

ამ ვიზიტის ფარგლებში, პატრიკ ჰიკის თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაც მიანიჭეს. ირლანდიელი სტუმარი დოქტორის შავი მანტიით უნივერსიტეტის რექტორმა **გიგი თევზაძემ** შემოსა. *„ოლიმპიზმი ცხოვრების ფილოსოფიაა, რომელიც აბალანსებს სულსა და სხეულს. სპორტმა ორგანიზება უნდა გაუწიოს მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომლის მიზანია ადამიანური თვისებების შენარჩუნება. სპორტის კულტურასა და განათლებასთან შერწყმით ოლიმპიზმი ნიშნავს ისეთი წესის დამკვიდრებას, რომელიც გამოწვეული იქნება სპორტული მიღწევებით გამოწვეულ სიხარულზე, კარგი მაგალითის გადაცემის ძალაზე. რამდენად შორსმჭვრეტელი იყო პიერ დე კუბერტენი, რომ მისი სიტყვები დღეს ასე შესატყვისი და მნიშვნელოვანია. რამდენად კარგად გაიგო ის სიტყვები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ, რომელმაც ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტად მუშაობისას ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი დააარსა, როგორც სპორტის საშუალებით განათლების მიღების საშუალება, მოგვიანებით კი ამან მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებსაც მისცა დასაბამი. ოლიმპიური ჩირაღდნის ანთება ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული მომენტია და მინდა იგივე გრძნობა ახალგაზრდებსაც ჩავუნერგოთ. აშკარაა, პლანეტის ახალგაზრდობას დღეს უფრო მეტად ესაჭიროება სპორტი, ვიდრე – ოდესმე. ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ჭარბწონიან ბავშვებს, კომპიუტერის ვირტუალურ სამყაროში გადანაცვლებულ მოზარდებს, ნარკოტიკების მომხმარებელ პატარებს. ყველა ამ პრობლემაზე ჩვენ გვაქვს პასუხი – ამას სპორტი უშველის“* – განაცხადა პატრიკ ჰიკიმ თბილისის უნივერსიტეტში გამოსვლისას და კიდევ ერთხელ შეგვახსენა სამხრეთ აფრიკელი მოღვაწის, აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ მებძოლი სარ-ის ექსპრეზიდენტ **ნელსონ მანდელას** სიტყვები – *„სპორტს შეუძლია, შეცვალოს მსოფლიო, კეთილი საქმეებისთვის შთააგონოს ხალხი და იმედი მისცეს მათ“.*

რუბრიკას უძღვება ***ირაკლი თავაძე***

მარიამ ტაბატაძე
თბილისის №23 საჯარო სკოლის
II კლასის მოსწავლე

პედაგოგი – იზა თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K